ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

პარიზი. ნოემბერი, 1928 წ. № 35. Paris. Novembre, 1928

1725
1928

## გადატეხის მოლოდინში.

—

რუსეთის კრედიტორთა შეკავშირება უცხოეთში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

რასაკვირველია ეს სრულიადაც არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ საომარ კოალიციის მოწყობას, როგორც ამაზე გაჰკივიან კრემლის დიქტატორები და მათი აგენტები შიგნით და გარეთ. დენიკინ-კოლჩაკის ავანტიურის განმეორებაზე ევროპა-ამერიკაში სერიოზულათ არავინ ფიქრობს. ომის საფრთხე თვით მოსკოვიდან მომდინარეობს, კომინტერნისა და საბჭოთა სხვა აგენტთა მეოხებით მზადდება. ამის უკანასკნელი მაჩვენებელია მონგოლეთში ბაოგაზე თავდასხმა გადატრიალების მოსაწყობათ და იქ საბჭოთა რუსეთის ბატონობის დასამყარებლათ. როგორც კომინტერნის მეექვსე ყრილობამ საბოლოოთ გამოააშკარავა, მოსკოვის მთავრობა და მისი ხელქვეითი დაწესებულებანი შიგნით და გარეთ მსოფლიო რევოლიუციის გამოწვევას სწორეთ ახალ ომის გაჩაღებით ლამობენ.

ამ საომარ კამპანიასთან, რაც კომინტერნის აგენტთა ხელით ფართოთ წარმოებს ევროპა-ამერიკაში, კრედიტორთა შეკავშირებას საერთო არაფერი აქვს. ის აიხსნება სულ სხვა გარემოებით და ემსახურება სხვა მიზანს.

იყო დრო, როცა დასავლეთ ქვეყნების ბანკირ-მრეწველთა საგრძნობმა ნაწილმა დაიჯერა საბჭოთა წყობილების სტაბილიზაცია და მის მესვეურებთან საქმის მოჭახრაკებას შეუდგა, მსოფლიო ომმა დასცა ზნეობა, ძველი პრინციპები შეარყია, მათ შორის კერძო საკუთრებისა და ნიადაგი მოუმზადა ნაქურდალ-ნაძარცვის მითვისებაგამოყენებას. ამ გარემოებამ გაუადვილა საქმიანობა საბჭოთა აგენტებს და მოსკოვის მთავრობას არა ერთი და ორი, ომიანობის ხანაში გამდიდრებულ ავანტიურისტთა ეკონომიური დახმარება შესძინა. მოსკოვი კონცესიების დარიგებას შეუდგა, ნაძარცვ საქონლის გასაღება ფართოთ მოაწყო და ამ გზით არა ერთი და ორი ფინანსისტი და მრეწველი მიიმხრო, ამიტომაც იყო მორთეს განგაში, საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოთ აიღო ხელი სამხედრო კომუნიზმზე და მსოფლიო ეკონომიურ სისტემასთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარაო. ასეთი იყო უცხოელ მრეწველ-ფინანსისტთა ოცნება.

დღეს გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ რომ, მწარე სინაიდვილემ ეს ილიუზია სავსებით გაფანტა. ბოლშევიზმის ევოლიუცია, რაზედაც ასე დაჟინებით გაჰკიოდენ ევროპაში, აშკარა სიყალბე გამოდგა და ეს გარემოება მრავალ კონცესიონერს, რომელნიც არ მოერიდენ სხვისი ქონების ექსპლუატაციას, მეტათ ძვირათ დაუჯდა. აქ საკმარისია მოვიგონოთ პირველ რიგში გერმანელები, რომელთაც დიდი ზარალი იგემეს. საბჭოთა მთავრობამ ხელი მოითბო, ხოლო უცხოელი კონცესიონერები პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა. ჰარიმანის კონცესიის ჩაფუშვა საქართველოში უკანასკნელი ფაქტია, რომლითაც საბოლოოთ დამტკიცდა, რომ ბოლშევიკური «სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი».

მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო და რასაც საქმის ყოველი მცოდნე თავიდანვე ელოდა. მართლაც, საბჭოთა წყობილება იშვა ხალხის დიდი უმრავლესობის ნებისყოფის ფეხქვეშ გათელვით და ეკონომიურ ცხოვრების კანონთა აბუჩათ აგდებით. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თავიდანვე განწირულია, მნიშვნელოვან ევოლიუციის შესაძლებლობა აქ დახშულია და მთელი მისი არსებობა ექსპერიმენტებითა და წაჯექ-უკუჯექობით განისაზღვრება. ამიტომაც არის, ნეპი მისაღებია, სანამ ვაჭარი მომაგრდება. გლეხის კერძო საქმიანობა დასაშვებია, სანამ ის საკუთარ ფეხზე დადგება; კონცესიონერის უფლებანი უზრუნველყოფილია, სანამ ის ფრთებს გაშლის და ეკონომიურ ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება და სხვა. მაგრამ საკმარისია სახელმწიფო მრეწველობამ ან კოოპერატივმა იგრძნოს კერძო მოქალაქეთა მეტოქეობა, რომ გლეხი «კულაკათ» გამოცხადდება და მის ბედელს ხაზინა დაეპატრონება; ვაჭარს აუტანელი გადასახადი დაეკისრება, ხოლო კონცესიონერი და მისი მოსამსახურენი ეკონომიურ ჯაშუშთა რიგში მოექცევიან და რევოლიუციონურ ტრიბუნალთა წინაშე წარსდგებიან. დონეცის პროცესი ამის საუკეთესო მაგალითია.

ამის შემდეგ განა შესაძლებელია რაიმე ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ ქვეყნებისა საბჭოთა კავშირთან! მოსკოვის ხელისუფლებამ თვით მოამზადა ნიადაგი ფინანსიური ეკონომიური ბლოკადის.

ამ გზით საბჭოთა ხელისუფლების იზოლიაცია საბოლოოთ ჩამოყალიბდა. ჯერ იყო და სოციალისტურმა ინტერნაციონალმა ბრიუსელში საბჭოთა დიქტატურის დამხობა საერთაშორისო მშრომელთა დღიურ ამოცანათ გამოაცხადა. ბოლშევიზმი და ფაშიზმი—აი ორი მტერი მუშათა კლასისა და დემოკრატიის. მას შემდეგ მოსკოვის ხელისუფლებას ზურგს აქცევენ ის ბურჟუაზიული წრეებიც, რომელთაც თავის დროზე ხელი გაუწოდეს ბოლშევიზმს და მის გამაგრებას ეხმარებოდენ.

რუსეთის კრედიტორთა შეკავშირება მსოფლიო მასშტაბით ამ ღრმა და მეტათ თვალსაჩინო ცვლილების ანარეკლია და ახალ ვითარების მაჩვენებელია.

კრედიტორები ხედვენ, რომ მოსკოვმა საკმაოთ გამოიყენა მათი ურთიერთშორის ქიშპობა და ამ მდგომარეობიდან გამოსავალს საერთო ენის გამოძებნით ლამობენ. მათ კარგათ იციან, რომ საბჭოთა ხომალდი განწირულია, ის ჩასაძირათ გამზადებულია. ისინი დიდი ხანია უკვირდებოდენ რუსეთის შინაურ მდგომარეობას და დღეს კარგათ ხედავენ, რომ ბოლშევიზმმა მოჭამა თავისი დრო, იმედი დაუკარგა თავისიანებსაც კი, ისინი ერთიმეორის წინაალმდეგ დარაზმა და ასე პარტიის შიგნიდან აფეთქებას ამზადებს. დაურთეთ ამას ეკონომიური არევდარევა, ინდუსტრიალიზაციის ჩაფუშვა, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა, ხალხის დამშევა, უმუშევართა რაზმის საზღაპრო ზრდა და თქვენთვის ცხადი იქნება, რომ კრედიტორთა ასპარეზზე გამოსვლა ხდება სწორეთ ისეთ დროს, როცა საბჭოთა წყობილების დამხობის მოახლოებას მრავალი გარემოება ლალადებს.

ასეთ პირობებში რა გასაკვირალია, რომ თვით გერმანიის ფინანსისტებიც კი არ მოერიდენ კრედიტორთა საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლას და რაპალოს ხელშეკრულობით გაბათილებულ ვალდებულებათა ხელახლა წამოყენებას. საბჭოთა ხელისუფლება დასუსტდა, მას სასიცოცხლო ძალა გამოეცალა და აი მას «მეგობრებიც» ხელიდან გაუსხლტენ და მის მემკვიდრეთა წინაშე წასადგომათ ირაზმებიან. სწორეთ ასეთია კრედიტორთა შეკავშირების მიზანი.

ცხადია ასეთ პირობებში მოსკოვის მთავრობის მოწოდება ახალ კონცესიების დასარიგებლათ გამოძახილს გავლენიან ფინანსისტთა და მრეწველთა შორის ველარ იპოვის და ვერც გერმანიის მიმართ გასჭრის მუქარა რაპალოს ხელშეკრულობის დარღვევის გამო.

საბჭოთა ხელისუფლება შიგნით დასუსტდა და მისი საგარეო წონაც დაეცა. მისი დაცემა მოახლოებულია. მემკვიდრეობის საკითხი დღის წესრიგში წამოჭრილია.

საბჭოთა კავშირის მიერ დამორჩილებულ ერებისა და აგრეთვე თვით რუსეთის დემოკრატიის ინტერესია ეს აუცილებელი გარდატეხა თავის ინტერესებისათვის გამოიყენონ და ხელი შეუწყონ იქ ახალ ურთიერთობის დამყარებას, რომელიც ყველა ერის სრულ თვითგამორკვევასა და დემოკრატიის გაბატონებაზე უნდა აეგოს.

ნ. რამიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ი უ ს ე ლ შ ი.

ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში იბეჭდება რეზოლიუციები გასულ აგვისტოში ბრიუსელში შემდგარ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესისა. დაახლოვებით იმავ ხანებში მოხდა მოსკოვში კომუნისტურ ინტერნაციონალის ყრილობა. ქვევით დასტამბული რეზოლიუციები შეძლებას მისცემს მკითხველს, და განსაკუთრებით ჩვენს მკითხველს საქართველოში, შეადაროს და დაუპირდაპიროს ერთმანეთს ამ ორი საერთაშორისო გაერთიანების სულისკვეთება და მისწრაფებები.

მოსკოვის ყრილობის დადგენილებები აღბეჭდილია სასოწარკვეთილების სულით, რადგან კომინტერნი თავის მიზნების გასახორციელებლათ ვერ პოულობს ვერც ერთ დასაყრდნობ წერტილს მსოფლიო განვითარების მსვლელობაში. ბრიუსელის დადგენილებები გაჟღენთილია მტკიცე იმედით და ღრმა რწმენით, რომ მსოფლიოს და თვითეულ ქვეყნის ეკონომიური განვითარება «უფრო და უფრო ჩქარის ნაბიჯით თვით ქმნის წინასწარ პირობებს კაპიტალიზმის დაძლევისას» და მუშათა სოც. ინტერნაციონალის საბოლოო მიზანის განხორციელებისას.

ისტორიული განვითარების კალაპოტიდან ამოვარდნილი ბოლშევიზმი თავის ხსნას ხედავს მხოლოდ ახალ მსოფლიო კატასტროფის გამოწვევაში და საერთო ქარცეცხლსა და სისხლში ლამობს ის განწირული საბჭოთა დიქტატურის გადარჩენას. ბრიუსელის კონგრესი კი, მსოფლიოს ორგანიულ განვითარების ნიადაგზე მტკიცეთ მდგომი, თავის პერსპექტივებს აშენებს ამ განვითარებასან შეფარდებულ მშრომელთა მასების თავისუფალ, შეგნებულ და ნაციონალურათ შეკავშირებულ მეთოდიურ ბრძოლაზე, რომლის ერთერთი ძირითადი მიმდინარე ამოცანაა ქვეყნიერებას, და უპირველეს ყოვლისა, თვით მშრომელ ხალხს აიცილოს თავიდან «სისხლიან ბარბაროსობის და საშინელების გამეორება».

კომინტერნის საერთაშორისო პოლიტიკა აშენებულია თვითეულ ქვეყნის შინაური ცხოვრების და თვითეულ ჩაგრულ ერის გამათავისუფლებელ მოძრაობის ავანტიურის გზით წარმართვაზე საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო სახელმწიფოებრივ მიზნებისათვის გამოსაყენებლათ: «პუჩის», უაზრო სისხლიან ჯანყის გზით მსოფლიო მუშათა კლასი და რუსეთის ფარგლებს გარეშე ნაციონალურ თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები უნდა ენაცვალონ კრემლის დიქტატორთა ბატონობის გახანგრძლივებას. ამ რევოლიუციურ ფრაზეოლოგიით მოკაზმულ იმპერიალიზმს ბრიუსელი უპირდაპირებს თვითეულ ქვეყნისა და ერის დამოუკიდებელ ღირებულებათ აღიარებას, მისი სუვერენობის ცნობას და ერთა თვითგამორკვევის და დემოკრატიის საფუძველზე მათს შეკავშირებას თანასწორთა ინტერნაციონალში.

კომინტერნი რუსეთის ბოლშევიკურ პარტიის დამატებაა, მისი საზღვარგარეთელი ბიუროა, რომლის თვითეულ ეროვნულ განყოფილებას მოსკოვი მბრძანებელის ტონით უკარნახებს მისთვის ხელსაყრელ პოლიტიკას. მუშათა სოც. ინტერნაციონალი თავისუფალი კავშირია ეროვნულ სოციალისტურ პარტიათა, რომლებიც თავიანთ ეროვნულ პოლიტიკას ერთმანეთს უთანხმებენ და უთვისებენ საერთო პრინციპების— დემოკრატიულ სოციალიზმის საფუძველზე.

ასეთ შეთანხმების შედეგებს იძლევა მუშათა სოც. ინტერნაციონალის კონგრესების რეზოლიუციები. შეთანხმება-ურთიერთ დათმობას, კომპრომისს გულისხმობს და თავისთავათ ცხადია, რომ ინტერნაციონალის ამა თუ იმ რეზოლიუციის ესა თუ ის ნაწილი, ესა თუ ის ცალკე დებულება შეიძლება მეტათ თუ ნაკლებათ ეგუებოდეს ერთი ან მეორე შემავალ პარტიის აზრს და შეხედულებას. მაგალითად, ჰამბურგის და თვით მარსელის კონგრესების რეზოლიუციებში, ჩვენთვის მთავარ მტკივნეულ საკითხში, ბევრი რამ იყო ისეთი, რის შესახებ ჩვენს პარტიას ინტერნაციონალისაგან განსხვავებული აზრი ჰქონდა. მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის აღდგენის პირველ წლებში ჯერ კიდევ ცხოველი იყო ევროპის ზოგიერთ სოციალისტურ პარტიებში ბოლშევიკურ «რევოლიუციის» მიერ გამოწვეული ილიუზიები და შემცდარი შეფასებანი, რის გამოც პირველ ორ კონგრესის ზოგიერთ დადგენილებებს ხშირად ბოლშევიზანობის დაღი აჩნდა. ამ მხრით ბრიუსელი აღნიშნავს მნიშვნელოვან ცვლილებას. მუშათა სოც. ინტერნაციონალის ოფიციალურ დადგენილებებში საბოლაოთ გაწყვეტილია ის ძაფი, რომელიც ბოლშევიზანების წინადადებითა და მოთხოვნით აკავშირებდა ბოლშევიზმს დემოკრატიულ სოციალიზმთან.

30670

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია ბრიუსელის მთავარი პოლიტიკური დოკუმენტი, «მანიფესტი» [illegible] განსაკუთრებულ მდგომარეობას ანიჭებს საბჭოთა რესპუბლიკას სხვა სახელმწიფოთა შორის; ის კვლავ ინტერნაციონალის მფარველობის ქვეშ აყენებს საბჭოთა რუსეთს მის მიმართ «კაპიტალისტურ მთავრობათა ყოველ მტრულ მოქმედების და ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციურ თავდასხმის» შემთხვევისათვის. მაგრამ მანიფესტის ძირითად დებულებას, მისი მთავარი აზრის სინათლეზე ამ განცხადებას ეკარგება მისი წინანდელი პრინციპიალური ხასიათი. მთავარი და ძირითადი კი ის არის, რომ ბოლშევიზმსა და ფაშიზმს შორის თანასწორობის ნიშანია დასმული, რომ დიქტატურის ეს ორი მონათესავე სახე დაგმობილია ერთსა და იმავე ნათელსა და უდაო ფორმულაში: «დიქტატურა, რა სახისაც უნდა იყოს ის». ე. ი. დიქტატურა ფაშისტური თუ ბოლშევიკური, «თანაბრათ საშიშია პროლეტარიატის განთავისუფლებისა და მსოფლიო მშვიდობიანობისათვის». აქ ბოლშევიკური დიქტატურა აღიარებულია პროლეტარიატის მტრათ; მტერს კი მტრულათ უნდა დავხვდეთ, ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და აი, «მანიფესტიც» აცხადებს, რომ «მთელი თავისი ძალღონით ინტერნაციონალი ილაშქრებს სექტის ან ერთი პირის დიქტატურის წინააღმდეგ, როგორიც არ უნდა იყოს ფორმა ამ დიქტატურისა». საბჭოთა სახელმწიფოს ამ ძირითად დაფასების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მანიფესტის მოწოდებას, მიმართულს საბჭოთა კავშირის მუშებისადმიო. ბოლშენიკური დიქტატურა არამც თუ «აფერხებს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას» და «ხელს უშლის მუშებს დაიცვან თავისი ინტერესები», არამედ «ეს რეჟიმი ძალით იმორჩილებს და სჩაგრავს ერებს უკანასკნელთა სურვილის წინააღმდეგ», ის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ზავისა და მშვიდობიანობისათვის, რადგან ომის მოსურნეა, «მთელ თავის იმედებს ამყარებს მსოფლიო ომზე»... ამიტომ ინტერნაციონალი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს მასთან ერთად იბრძოლოს დემოკრატიის დასაცავათ «იქ, სადაც მას საფრთხე მოელის და მისი აღდგენისათვის იქ, სადაც იგი მოსპობილია, რათა დემოკრატია მუშათა კლასის განთავისუფლების ერთ-ერთ საშვალებათ გადავაქციოთ».

მკითხველი ხედავს, რომ ბრიუსელის «მანიფესტი» არსებითად სწორედ იმ პოზიციას იკავებს ბოლშევიზმისადმი, რასაც ქართველი სოციალდემოკრატია უცვლელად ადგია ოქტომბრის გადატრიალებიდან დღემდე.

მეორე უმნიშვნელოვანესი დადგენილება, ბრიუსელში მიღებული, ეხება კოლონიალურ საკითხს. ეს პრობლემა პირველათ დაისვა ომის შემდეგ განახლებულ სოც. ინტერნაციონალის კონგრესზე. და ჩვენ ყოველივე საბუთი გვაქვს მივესალმოთ აგრეთვე ინტერნაციონალის მიერ აქ აღებულ ხაზს. მკითხველი დარწმუნდება, რომ ამ საკითხის ინტერნაციონალის მიერ გადაჭრას თავიდან ბოლომდე საფუძვლად უდევს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომლის სადღეისო კონკრეტიული ფორმა თვითეულ ერისთვის შეფარდებულია ამ ერის ეროვნულ-კულტურულ მდგომარეობასა და მის პოლიტიკურ შეგნებასან. ამისდაგვარათ, ის სავსებით მხარს უჭერს დამოუკიდებლობას ჩინეთის, ეგვიპტეს, სირიის, ირაქის, ერთი სიტყვით, ყველა იმ ერების, რომლებიც თავისი ეროვნულ-კულტურული განვითარებით დგანან იმ საფეხურზე, რომ შეგნებულათ ითხოვენ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას და ეს თავის გამათავისუფლებელ ბრძოლის დროშაზე უწერიათ, ხოლო იმ ერებისათვის, რომელნიც თუმცა აწარმოებენ ბრძოლას ეროვნულ თავისუფლებისათვის, მაგრამ დღესდღეობით საკმაოთ არ ჩამოყალიბებულან კულტურულ-პოლიტიკურათ, რომ მათში სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მოთხოვნილება და შეგნება მომწიფებულიყოს, ინტერნაციონალი აყენებს თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნას ამ ლოზუნგის იმ შინაარსისათვის მხარის დაჭერით, რომელსაც მას მისცემს დაინტერესებული ერი. ასეთია ინდოეთი, ფილიპინიის კუნძულები, კორეა, ანამი და სხვ.

სრულიად დაბალ კულტურულ დონეზე მყოფ კოლონიალურ ხალხებისათვის კი ინტერნაციონალი აყენებს მთელ სისტემას გასატარებელ ზომებისას, რომლის მიზანია ამ ერების მაქსიმალურათ დაცვა ჩაგვრისა და ყვლეფისაგან და მათი «სისტემატიური აღზრდა, რაიცა მიმართული უნდა იყოს მათ დამოუკიდებლობისაკენ და, ამავე დროს, მათი თვითმართველობის პროგრესიული გაფართოება საბოლოო და სრულ თვითგამორკვევამდე».

როგორც ხედავთ, აქ არამც თუ თავიდან ბოლომდე დაცულია თვითგამორკვევის პრინციპი, არამედ ეროვნული მოთხოვნები ყველა კოლონიალურ ხალხებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცმულია იმ წინასწარ უდაოთ მიჩნეულ დებულებაზე, რომ თანამედროვე ეკონომიურ და ეროვნულ-კულტურულ განვითარებას თვითეული ერი მიჰყავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გზით და მის ამ გზით სვლას ყოველგვარათ უწყობს ხელს მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი.

ეს არის სწორედ ის შეხედულება ეროვნულ საკითხში, რომელსაც იცავს დღეს ქართველი სოციალდემოკრატია, რომელიც საფუძვლათ უდევს ჩვენი პარტიული ყრილობების დადგენილებას და თუნდაც ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში მოყვანილ რეზოლიუციას საქ. ს.-დ. მ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსას.

ჩვენ შევეხეთ ინტერნაციონალის იმ ორ მთავარ რეზოლიუციას, რომელსაც დამოკიდებულება აქვს საქარ. სოციალდემოკრატიის სადღეისო ბრძოლასან. დანარჩენი ორი დიდი რეზოლიუციის დაკვირვებით გაცნობა დაარწმუნებს მკითხველს, რომ როგორც განიარაღების და ზავის საქმეში, აგრეთვე პროლეტარიატის ეკონომიურ პოლიტიკაში, სოციალისტური ინტერნაციონალი ემყარება მსოფლიო სოციალ-ეკონომიურ განვითარების მსვლელობას და მის სალ ტენდენციებზე აყრდნობს მშრომელთა მასების თვითმოქმედებას, მათს შეკავშირებულ ბრძოლას—ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბით.

ეს ბრძოლა შეიძლება ნაყოფიერი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი გადაჭრით უკუაგდებს და შეებრძოლება უმცირესობის დიქტატურას და მტკიცეთ დადგება დემოკრატიის საფუძველზე, გვეუბნება ინტერნაციონალი. ასევე აუცილებელია დაძლევა პროლეტარიატის წიაღში გამთიშავ და გამხრწნელ ძალებისა და მშრომელ მასების მუშათა სოც. ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დარაზმვა, რადგან მთლიანობის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება.

ამნაირათ, ბრიუსელის კონგრესი სდგას ძველ ნაცად გზაზე, რომელიც ომამდე გაკვალა პირველმა და მეორე ინტერნაციონალმა.

საქართველოს სოციალდემოკრატიას და ქართველ ხალხს განსაკუთრებული სიმძიმით აწევს თავს უცხო იმპერიალისტურ ძალის მიერ მოვლინებული უმცირესობის დიქტატურა. მისი სადღეისო ბრძოლის ორმაგი მიზანია: ჩაგრულ ერის განთავისუფლება და დემოკრატიის აღდგენა. და მას ამ ბრძოლაში ახალ ძალას და ენერგიას შემატებს მისი ინტერნაციონალთან იდეური ერთობა, რასაც მოწმობს ბრიუსელის დადგენილებები.

დ. შ.

---

## ბრიუსელის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მანიფესტი.

### მთელი ქვეყნის მუშებს.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა.

მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობებმა ბრწყინვალე დაპირებები მისცეს ხალხებს, ზავი აქამდეც უზრუნველყოფილი არ არის. შეიარაღებაში გაჯიბრება ისევ განახლდა. ერები ვერ გრძნობენ ამ მხრივ თავს დაზღვეულათ, რასაც მათ სავსებით მოუპოვებს დამყარება სოციალიზმისა, რომელიც მოსპობს ეროვნულ ანტაგონიზმის წარმომშობ კლასთა ბატონობას.

ეროვნული უმცირესობანი ისევ დაჩაგრული არიან და დიდი სახელმწიფონი აფერხებენ ან თავის ინტერესებისათვის იყენებენ მათ ცდას განთავისუფლებისას.

ზოგიერთ ქვეყნებში დემოკრატია ჩაახშო დიქტატურამ, რომელიც, რა სახისაც უნდა იყოს ის, თანაბარათ საშიშია პროლეტარიატის განთავისუფლებისა და მსოფლიო მშვიდობიანობისათვის.

კაპიტალიზმი, რომელიც დღეს უფრო აგრესიული და უფრო ხარბია, ვინემ ოდესმე, ყველგან, ყველა ქვეყანაში შეეცადა მთელი სიმძიმე ომის შედეგების მუშებს დასწოლოდა ან უსამართლო და გამანადგურებელ გადასახადებით, ან ისეთი ფინანსიური და ეკონომიური ზომებით, რომლებმაც გამოიწვიეს უმუშევრობა და მრავალ მილიონ ადამიანის უკიდურეს სიღატაკეში ჩაცვენა.

სამრეწველო ტრესტები და ფინანსიური კარტელები, თანდათან გაძლიერებულნი და გაერთიანებულნი, საზღვრების ორივე მხარეზე ფლობენ წარმოებებს და სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფოებს; სარგებლობს რა აგრარიულ ქვეყნების, განსაკუთრებით ჩინეთის, ინდოეთის და კოლონიალურ მხარეების ინდუსტრიალიზაციით, კაპიტალიზმი პირდაპირ ჰყლეტს ფერადკანიან მუშებს, მოკლებულთ პროფესიულ კავშირებს და მფარველობას, და მათი სამარცხვინო ექსპლოატაციით ქმნის უმსგავსო კონკურენციას ევროპიელ და ამერიკელ მუშების წინააღმდეგ.

ყველა მათ, ვინც გმინავს კაპიტალის დიქტატურის ან პოლიტიკურ დიქტატურის ქვეშ, ყველა მათ, ვისაც აწუხებს თავის მომავლის გამოურკვევლობა და ვისაც სურს სოციალური სამართლიანობა და მსოფლიო მშვიდობიანობა, ყველა მათ—, მივმართავთ ჩვენ ამ მოწოდებით: მოდით მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის რიგებში, რათა მათთან ერთად და მისი საშუალებით უზრუნველვყოთ სოციალიზმის გამარჯვება და სოციალიზმის საშუალებით შრომის უზენაესობა შეთანხმებულ ერთა შორის.

მიუხედავათ ომის შემდგომი ხანის დაბრკოლებებისა, მიუხედავათ განხეთქილებისა პროლეტარიატში და მიუხედავათ კაპიტალიზმის გაძლიერებულ კონცენტრაციისა, სწორედ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის წყალობით იქნა გადადგმული პირველი ნაბიჯი ხალხთა დაახლოვების.

სწორეთ ინტერნაციონალის მუშაობით ფრანკფურტში, ჰამბურგში და მარსელში და მისი დიდი ეროვნული სექციების განუწყვეტელი მზრუნველობით მომზადდა ნიადაგი და მოხდა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპის დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება, რაც არსებითი საფუძველია მშვიდობიანობის.

სწორეთ ინტერნაციონალია, რომ სარეპარაციო საკითხების გადაჭრას განადგურების, იძულების და მოძალადეობის გზით უპირდაპირებს ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას და ამ ხანათაც ცდილობს აიძულოს მთავრობები განახორციელონ თავიანთი დაპირებანი სავალდებულო არბიტრაჟის, ხალხთა საყოველთაო განიარაღების და ომის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

ეს მისი ზეგავლენითაა, ეს მუშათა და გლეხთა მასების ზეგავლენითაა, რომ მთავრობები იძულებული იყვნენ ომი «კანონს გარეშე» დაეყენებიათ თავის საზეიმო განცხადებებით, სადაც ვკითხულობთ იმ სიტყვებს, რომლებიც ინტერნაციონალმა პირველმა აუწყა მთელ ქვეყანას.

ტექსტი კელოგის პაქტის, რომელსაც ხელს მოაწერენ მთავრობები და რომელიც სრული უარყოფაა ომის, რამდენიმეთ გაყალბებულია ზოგიერთ მთავრობების მიერ გაკეთებული სრულიად მიუღებელი რეზერვებით (გამოკლებებით) და კიდევ უფრო დამცირებულ იქნებოდა საბჭოთა კავშირის პაქტის გარეშე დატოვებით. პაქტი სინამდვილეში ფუჭ სიტყვათ დარჩება, თუ მუშები არ გაერთიანდენ და არ დაიპყრეს პოლიტიკური ძალა-უფლება, რათა გაავრცელონ იგი გამოუკლებლივ მთელს მსოფლიოზე, მოაწყონ ზავი, რომელიც სიტყვით აღიარებულ იქნა, სიტყვა ცხოველ საქმეთ აქციონ.

ამისათვის მოუწოდებთ ჩვენ ევროპის მუშებს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ მივმართავთ მუშებს შეერთებულ შტატებისას, იმ ქვეყნის, სადაც არის მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრი პლუტოკრატია, გამაყალბებელი დემოკრატიის და მჩაგვრელი შრომის.

შეერთებულ შტატების მუშებო! თქვენი ქვეყნის კაპიტალისტები ტრაბახობენ თქვენი კეთილდღეობით, მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ის ეცემა? ნუთუ ვერ ხედავთ როგორ სცვეთს და გაცლისთ სიცოცხლის ძალას გამალებული ტემპი თქვენი მუშაობის? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თქვენი ქვეყანა ერთად-ერთია მოწინავე ქვეყნებ შორის, სადაც არ არსებობს არავითარი დამზღვევა უმუშევრობის, ავათმყოფობისა და მოხუცებულობის გაჭირვებისაგან, რომ მხოლოდ ერთადერთ თქვენს ქვეყანაშია, რომ მუშათა ორგანიზაციების მოქმედებას ხელფეხს უკრავს სასამართლოს განაჩენები?

თქვენი ქვეყნის კაპიტალისტები იკვეხნიან, რომ თქვენი ცხოვრების დონე უფრო მაღალია, ვინემ სხვა ქვეყნების თქვენ მოძმეთა ცხოვრების დონე. მაგრამ თქვენ ხომ ხედავთ, რომ ამერიკის კაპიტალი შეუწყვეტლივ მიეშურება ევროპასა და აზიისაკენ უფრო იაფ სამუშაო ძალის საძებნელათ, რომლის ექსპლოატაცია ემუქრება თქვენი ცხოვრების დონეს, აძლიერებს რა უმუშევრობას თქვენს ქვეყანაში.

თქვენი ქვეყნის კაპიტალისტებს თავი მოაქვთ ზავის მოციქულათ, და ამავე დროს, სამხედრო ინტერვენციას აწყობენ ნიკარაგუაში და ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ შემოუერთდით ჩვენს რიგებს და ჩადექით მუშათა კლასის მოწინავე რაზმში, ისე როგორც თქვენი კაპიტალიზმი უდგას სათავეში მთელ მსოფლიოს კაპიტალისტთა კლასს.

ჩვენ მივმართავთ ჩვენი მოწოდებით აგრეთვე აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებს.

ჩვენ ვესალმებით მათ გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

ჩვენ ვესალმებით ჩინეთის ეროვნულ რევოლიუციის გამარჯვებებს მსოფლიო კაპიტალიზმზე.

და ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი კაპიტალისტური მთავრობებისაგან, რომ მათ გაიყვანონ ჩინეთიდან თავისი ჯარები და გემები, იცნონ ჩინეთის სუვერენული უფლებები, მიანიჭონ მას კანონმდებლობის და საბაჟო მართველობის თავისუფლება, დაუბრუნონ კონცესიები, უარი სთქვან ექსტერიტორიალობის უფლებებზე და სცნონ მათი ეროვნული მთავრობა.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ეგვიპტეში მოხდენილ აბსოლიუტიზმის სასარგებლო გადატრიალების წინააღმდეგ, რომელიც 3 წლით ართმევს ეგვიპტის ხალხს თავის პარლამენტს. ამ ხალხისათვის ჩვენ მოვითხოვთ ნამდვილ დამოუკიდებლობას და, მაშასადამე, მის ერთა ლიგაში დაშვებას.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ სუეცის არხი, ეს დიდი გზა აღმოსავლეთის და დასავლეთის შემაერთებელი, ერთა ლიგის მფარველობას დაექვემდებაროს. და როგორც შედეგი ამის, ბრიტანეთის ჯარები დაუყონებლივ გაყვანილ იქნენ ამ ტერიტორიიდან.

ჩვენ ვაღიარებთ ინდოეთის ერთა სრულ თვითგამორკვევის უფლებას და მხარს ვუჭერთ აქეთკენ მიმართულ მათ ბრძოლას; ჩვენ მივესალმებით ინდოეთის პროფესიონალურ მოძრაობის წინსვლას და მოვუწოდებთ ამ ქვეყნის მუშებსა და გლეხებს დააარსონ საკუთარი პარტია, რომ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვების შემდეგ მოიპოვონ აგრეთვე ეკონომიური თავისუფლება.

მაგრამ, ვუჭერთ რა მხარს აღმოსავლეთის ჩაგრულ ერთა განთავისუფლების ცდას, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ეროვნული განთავისუფლება, თუმცა ნიადაგს უმზადებს სოციალურ ბრძოლას, მარა არ მოაქვს თან მუშათა ემანსიპაცია.

შანხაისა და კანტონის ხოცვა-ჟლეტამ ცხადჰყო, რომ აღმოსავლეთის პროლეტარიატი მიმართავს იმავ სისხლიან ექსპერიმენტებს, რომლის მსხვერპლი გახდა ევროპის პროლეტარიატი მე-19 საუკუნეში. ბურჟუაზია მზათაა იმსახუროს და ისარგებლოს პროლეტარიატის ამბოხებებით, მაგრამ ის მაშინვე იარაღით მიუბრუნდება მას, როგორც კი უკანასკნელი საერთო გამარჯვებაში წილის დადებას მოითხოვს.

აღმოსავლეთის ნორჩმა მუშათა მოძრაობამ უნდა გამოიყენოს გამოცდილება ევროპის მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოების მუშათა კლასის და ისწავლოს მისი ბრძოლის მეთოდების ხმარება. ამიტომ მოუწოდებთ აღმოსავლეთის მუშებს შემოუერთდენ ჩვენს რიგებს.

ჩვენი ბრძოლა, ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის, თავის განთავისუფლების და ზავის სასარგებლოთ სრული და ნაყოფიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ეყრდნობა პოლიტიკურ თავისუფლებას. მართალია, დემოკრატია კლასებათ დანაწილებასთან დაკავშირებული, არ წარმოადგენს მუშათა კლასისათვის მიზანს თავისთავად. მაგრამ ის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა პოლიტიკურ თანასწორობის ნიადაგზე სოციალურ თანასწორობის განსახორციელებლათ. მუშათა კლასი იმდენათ უფრო მიაღწევს ამ მიზანს, რამდენათაც მტკიცეთ აწარმოებს ბურჟუაზიულ დემოკრატიის ჩარჩოებში ბრძოლას, რამდენადაც პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლების გამოყენებით განამტკიცებს თავის პოზიციებს და შექმნის ამგვარათ პირობებს პროლეტარულ დემოკრატიის დასამყარებლათ.

მთელი თავისი ძალღონით ილაშქრებს ინტერნაციონალი სექტის ან ერთი პირის დიქტატურის წინააღმდეგ, როგორიც არ უნდა იყოს ფორმა ამ დიქტატურის.

ის ილაშქრებს წინააღმდეგ ფაშიზმისა, რომელიც, აღრჩობს რა თავისუფლებას შიგნით და ემუქრება რა მშვიდობიანობას გარეთ, საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო იმ ხალხისათვის, რომელსაც ის ფლობს, არამედ აგრეთვე დემოკრატიულ ერებისათვისაც, რომელთა განვითარება მას სახელს უბოჭავს.

ინტერნაციონალი ფარდას ხდის და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იტალიის ფაშიზმის მოქმედებას, რომელიც ცდილობს თავის ირგვლივ შემოიკრიბოს მის ვასალებათ გადაქცეული ბალკანეთის და ხმელთაშუა ზღვის ყველა რეაქციონური სახელმწიფოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთგვარი «წმინდა-კავშირი» შეკრას რეაქციის ქვეყნებისგან წინააღმდეგ თავისუფლების ქვეყნებისა; ამ ღინებს ხელს უწყობს ნახევრათ დიქტატორული რეჟიმი სახელდობრ რუმინიაში, იუგოსლავიაში და უნგრეთში.

ინტერნაციონალი მიუთითებს ლიტვის და პოლონეთის დიქტატურათა შორის არსებულ კონფლიქტების საშიშროებაზე. ის მოუწოდებს ლიტვის მუშებს და გლეხებს დიქტატორულ რეჟიმის წინაამდეგ საბრძოლველათ და მხურვალეთ უჭერს მხარს მუშათა კლასის ბრძოლას პოლონეთში იმ რეჟიმის წინაამდეგ, რომელიც დემოკრატიის ფორმების განახლების საბაბით ცდილობს მის დანგრევას.

ის გმობს მთელი ქვეყნის ხალხთა წინაშე ნაციონალისტურ ბურჟუაზიის მოქმედებას, რომელნიც გუშინ გამოდიოდენ ინდივიდუალურ თავისუფლების დამცველათ სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ, და დღეს კი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ საზიზღარ დიქტატურის ქებადიდებაში, რომელიც ნეო-სინდიკალიზმს იმიზეზებს შრომის დასამონავებლათ. მაგრამ ინტერნაციონალს საჭიროთ მიაჩნია უთხრას მუშებს, რომ ამ მოძალადე და საშიშ პოლიტიკურ რეაქციას ხელს უწყობს ბოლშევიზმის ტაქტიკა, რომელიც ყველა ქვეყნებში თიშავს მუშათა კლასს, როგორც ეს დავინახეთ ამას წინათ საფრანგეთში, გერმანიაში და პოლონეთში, და მით აძლიერებს ბურჟუაზიულ პარტიებს და მთავრობებს, უგრძელებს მათ არსებობას, ამაგრებს მათ ბატონობას.

კომუნისტურ ინტერნაციონალის უკანასკნელმა კონგრესმა იმპერიალისტურ ომების განახლების აუცილებლობის აღიარებით მთელი თავისი იმედი დაამყარა კვლავ მსოფლიო ომზე, რომელსაც ახალი რევოლიუცია უნდა მოჰყვეს. რა სიგიჟეა მუშათა აზრის და იმედების ახალი ომებისაკენ მიპყრობა მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყველა მუშები უნდა შეერთდენ ომის სისხლიან ბარბაროსობის და საშინელებათა განახლების წინააღმდეგ.

ინტერნაციონალი არ უარყოფს საბჭოთა კავშირის მუშათა მასების გმირულ ცდას, რაიცა კაპიტალიზმისა და თეთრი ტერორის წინაამდეგ ბრძოლაში გამოიხატა. მაგრამ ის გარემოება, რომ რევოლიუციის დაწყებიდან 11 წლის შემდეგ ისევ მძვინვარებს და მუდმივ ხასიათს ღებულობს ეკონომიური კრიზისი, მოწმობს, რომ რეჟიმი ტერორისტულ უმცირესობის დიქტატურისა აფერხებს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ისე, როგორც ის ხელს უშლის მუშებს დაიცვან თავის ინტერესები. რომ ეს რეჟიმი ძალით იმორჩილებს და ჩაგრავს ერებს უკანასკნელთა სურვილის წინააღმდეგ, როგორც ეს საბჭოთა მთავრობამ თვით აღიარა საქართველოს შესახებ ამასწინათ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში.

მუშათა სოც. ინტერნაციონალში გაერთიანებული პარტიები, რა თქმა უნდა, მუდამ მზათ არიან დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკა კაპიტალისტურ მთავრობათა ყოველ მტრულ მოქმედებისა და ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციურ თავდასხმისაგან და მოსთხოვონ ყველა სახელმწიფოებს დაიჭირონ მასთან მშვიდობიანი და ნორმალური ურთიერთობა.

მაგრამ როგორც მთელი ქვეყნის მუშებს, ისე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ჩვენ მოუწოდებთ შემოუერთონ თავისი ძალები ჩვენსას მსოფლიო პროლეტარიატის ისეთი პოლიტიკის გასამარჯვებლათ, რომელიც დაფუძნებულია არა ახალ ომის იმედზე, რასაც მოყვებოდა უმცირესობათა დიქტატურის გაბატონება, არამედ შეგნებაზე დემოკრატიის დაცვის აუცილებლობის იქ, სადაც მას საფრთხე მოელის და მისი აღდგენის იქ, სადაც იგი მოსპობილია, რათა დემოკრატია მუშათა კლასის განთავისუფლების ერთ-ერთ საშვალებათ გადავაქციოთ.

პროლეტარიატის გათიშვა ასუსტებს მას. პროლეტარიატის გაერთიანება კი შემატებდა მას ახალ მამოძრავებელ ძალას და უზრუნველყოფდა მის გამარჯვებას ზავისა დ ასოციალურ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ერთობის გზით—გამარჯვებისაკენ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის აღმოსაფხვრელათ!

ერთობის გზით—ძალაუფლების დაპყრობისა და სოციალიზმისაკენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზოლიუცია კოლონიალურ საკითხზე.

## I. შესავალი.

კოლონიალური პოლიტიკა იყო ერთ-ერთი საშვალება, რომლის მეოხებით კაპიტალიზმი მთელს დედამიწის ზურგზე გავრცელდა. მან გაკაფა გზა ჩამორჩენილ ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებისაკენ, განავითარა ამ ქვეყნებში თანამედროვე წარმოება და თანამედროვე მიმოსვლის საშვალებანი და ამგვარათ ძლიერ გააფართოვა მსოფლიო მეურნეობისათვის საჭირო ნედლი მასალის ბაზა და უაღრესათ შეუწყო ხელი შრომის საერთაშორისო განაწილებას:

მაგრამ საწარმოო ძალთა ეს მძლავრი განვითარება, ნივთიერ ცივილიზაციის ეს დიდი წინსვლა მიღწეულ იქნა მრავალ ბოროტებათა საფასურით: ადგილობრივი ხალხები უმეტეს შემთხვევაში გახდენ მსხვერპლი უხეშ უცხო ბატონობისა, უცხო კაპიტალის უსინიდისო ექსპლოატაციის და ძარცვის, ხოლო მრავალ შემთხვევაში მათ მოსტაცეს თავისი მიწაწყალი და უცხო ბატონებმა მათრახის საშვალებით დააკისრეს მათ იძულებითი შრომა. კოლონიების ბუნებრივ სიმდიდრეების ექსპლუატაციით და ადგილობრივ მცხოვრებთა შრომით შეძენილ მოგებას ეზიდებიან ხშირად მპყრობელ ქვეყანაში, რაიცა ხელს უშლის თვით კოლონიალურ ქვეყნებში ბუნებრივ ძალთა განვითარებას და იქ თანამედროვე მეურნეობის დამყარებას.

მეორე მხრით თანამედროვე მეურნეობისა და მიმოსვლის საშვალებათა განვითარებამ კოლონიებში საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე სოციალურ და კულტურულ განვითარებას კოლონიალურ ერთა შორის და ამგვარათ მათთვის ხელმისაწდომი გახდა თანამედროვე დემოკრატიული, ნაციონალური და სოციალური იდეები.

ამ განვითარების პროცესში სხვადასხვა კოლონიალურ ერებს განვითარების სხვა და სხვა საფეხური აქვთ მიღწეული.

ძველი ცივილიზაციის ყველა ერებმა უცხო ბატონობის ქვეშ უკვე საგრძნობლათ დააღწიეს თავი ტეხნიკურ და საზოგადოებრივ ჩამორჩენილობას. ამ ერთა წიაღში განვითარდა მნიშვნელოვანი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ელტვის სრულს განთავისუფლებას უცხო ბატონობის უღლიდან და დამოუკიდებელ ნაციონალურ ცხოვრების მოწყობას. ამ ქვეყნებში უკვე შესაძლებელია უცხო ბატონობის გაუქმება ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს ამ ერებში კაპიტალისტურ გახვითარების ხანიდან ძველ, პრიმიტიულ ხანისაკენ უკანდახევა, მათ ქვეყნებში თანამედროვე სამეურნეო და მიმოსვლის წესების აღმოფხვრა და მათი საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის წრიდან გამოთიშვა.

სრულიად წინააღმდეგ მდგომარეობაში არიან ის კოლონიალური ერები, რომლებიც უცხო ბატონობამდე იმყოფებოდენ განვითარების ძლიერ პრიმიტიულ საფეხურზე და რომელნიც უცხო ბატონობის ხანაში ჯერ კიდევ ვერ გასცილებიან საგრძნობლათ ამ პრიმიტიულ საფეხურს. ამ ქვეყნებში თანამედროვე სამეურნეო და მიმოსვლის მეთოდები ჯერ კიდევ სავსებით უცხო ბატონობას ეყრდნობა. ამიტომ, ამ უკანასკნელის დაუყონებლივი გაუქმება მოასწავებდა არა ეროვნულ კულტურისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, არამედ ამ ერების ისევ პრიმიტიულ ბარბაროსობაში დაბრუნებას, არა ნაციონალურ დემოკრატიის განვითარებას, არამედ ამ ერთა მასებზე თეთრ კანიან ჩამოსახლებულთა, ან ადგილობრივ დესპოტთა გაბატონებას ანდა კიდევ იმავ კაპიტალისტურ ხანის და კოლონიალურ ომების განახლებას.

ამ ორ საწინააღმდეგო პოლიუსთა შორის სხვადასხვა კოლონიალური ერები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან.

სოციალიზმი უკუაგდებს თვით პრინციპს უცხო ბატონობისას კოლონიალურ ერებზე. კოლონიალური ბატონობის მოსპობა მას მიაჩნია წინასწარ პირობათ ერთა შორის ინტერნაციონალური ურთიერთობის დასამყარებლათ.

ამიტომ ის მხარს უჭერს იმ კოლონიალურ ერების მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ, რომელთაც უკვე მიაღწიეს თანამედროვე დამოუკიდებელ კულტურის წინასწარ პირობებს და მოითხოვს უცხო ბატონობისაგან მათს სრულ განთავისუფლებას, ან, თუ ისინი მოისურვებენ, მათს სრულს გათანასწორებას მეტროპოლიის მოქალაქეებთან უფლებრივათ, პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და სოციალურათ.

სხვა კოლონიალურ ერებისათვის, რომელთაც ჯერ არ მიუღწევიათ განვითარების ამ საფეხურამდე, ის მოითხოვს ნამდვილ დაცვას ჩაგვრისა და გაყვლეფისაგან, ამ ერე-

ბის სისტემატიურ აღზრდას, რაიცა მიმართული უნდა იყოს მათ დამოუკიდებლობისა-საკენ და, ამავე დროს, მათი თვითმართველობის პროგრესიულ გაფართოებას სრულ-ლოთ და სრულს თვითგამორკვევამდე.

ეროვნულ განთავისუფლებასთან ერთად, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს თვით ამ კოლონიალურ ერების საკუთარი ძალთა შედეგი, საჭიროა დახმარება გაეწიოს ამ ქვეყნებში სოციალისტურ მუშათა მოძრაობის შექმნას და განვითარებას. ამ მოძრაობის ფორმის განსაზღვრისათვის საჭიროა ანგარიში გაეწიოს ადგილობრივ მცხოვრებთა დაწესებულებებს და ფსიქოლოგიას, და მათი ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის დაკავშირებულ იქნას მათ კლასიურ ბრძოლასთან უცხო და ადგილობრივ მყვლეფელთა წინაამდეგ, მაგრამ ამასთანავე მომზადდეს აღზრდის საშვალებით კოლონიალურ ერთა მუშათა მასებში—ისე, რომ ზიანი არ მოუტანოს მათ ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას—შეგნება ყველა ქვეყნის მუშათა სოლიდარობის და თავის კერძო ეროვნულ ინტერესების მსოფლიო მუშათა კლასის საერთო ინტერესებისათვის დაქვემდებარებისა.

II. მხარის დაჭერა ჩაგრულ ერთა გამანთავისუფლებელ ბრძოლისა და მათი თავისუფლების უფლების მოთხოვნისათვის.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერს დამორჩილებულ ერთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, მიუხედავათ იმისა, იღებს დამორჩილება კოლონიალურ ბატონობის სახეს თუ ერს გარეგნულათ შენარჩუნებული აქვს დამოუკიდებლობის საერთაშორისო უფლებრივი ფორმა, მაგრამ ფაქტიურათ დამოკიდებულია იმპერიალისტურ სახელმწიფოსაგან სამხედრო ინტერვენციის, ეკონომიური შეჭრისა და უთანასწორო ხელშეკრულობათა სისტემის წყალობით.

ის მოითხოვს ჩინეთისათვის სრულ დამოუკიდებლობას, საერთაშორისო უფლებრივ თანასწორობას და უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას, რომელიც ჩაგრავს ჩინეთის ერს. ის აღიარებს ინდოეთის ერთა სრულ თვითგამორკვევის უფლებას და მხარს უჭერს აქეთკენ მიმართულ მათ ბრძოლას; ის მიესალმება ინდოეთის პროფესიონალურ მოძრაობის წინსვლას და მოუწოდებს ამ ქვეყნის მუშებსა და გლეხებს დაარსონ საკუთარი პარტია, რომ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოების შემდეგ მოიპოვონ აგრეთვე ეკონომიური თავისუფლება. ის მხარს უჭერს ეგვიპტეს სრულ დამოუკიდებლობის მოთხოვნას.

ის მოითხოვს, რომ სირიას და ირაქს დაუყონებლივ მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა და ისინი მიღებულ იქნან წევრებათ ერთა ლიგაში. ის მოითხოვს თვითგამორკვევის უფლებას ფილიპინის კუნძულებისა, კორეისა და ანამისათვის. ის ებრძვის შეერთებული შტატების ეკონომიურ გაბატონებას და სამხედრო ინტერვენციის პოლიტიკას ჰაიტისა, სანდომინგოს და კუბას რესპუბლიკებში.

III. კოლონიები განვითარებული კულტურით.

მუშათა სოც. ინტერნაციონალი მოითხოვს, რომ იმ კოლონიებს, სადაც მოსახლეობა კულტურულათ წინწაწეულია ე. ი. კოლონიებს გაევროპიელებული ან აღმოსავლეთის კულტურით, როგორიცაა განსაკუთრებით ბრიტანეთის იმპერიის კოლონიები (აფრიკის და მშვიდ ოკეანეს კოლონიათა გამოკლებით), საფრანგეთის, იტალიის და ესპანიის კოლონიებს ჩრდილო აფრიკაში, შემდეგ ჰოლანდიის ინდოეთს (ინდონეზიას), მადაგასკარს და სხვ.—დაუყონებლივ მიენიჭოს თვითმართველობის ფორმა, როგორსაც ამ ქვეყნების ადგილობრივი მცხოვრებლები თვითონ მოითხოვენ.

სოციალისტური პარტიები იმ სახელმწიფოებში, რომელნიც ფლობენ ამ კოლონიებს, ან განაგებენ მათ მანდატის ძალით, ვალდებული არიან მთელი თავისი ენერგიით მხარი დაუჭირონ ყოველ ღონისძიებას, რომელიც ხელს უწყობს კოლონიალურ ქვეყნებში ადგილობრივ მცხოვრებთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას, უზრუნველყოფას და გაფართოებას.

ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ადგილობრივ მცხოვრებთა შეკავშირების თავისუფლებას თვითმართველობის მოპოებისა და მოხმარებისათვის, მხოლოთ ამ შეკავშირების ფორმები უნდა ეგუებოდეს ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას და ანგარიშს უწევდეს მათ ფსიქოლოგიას. იმ საშვალებებს, რომელთა მიღება საჭიროა თვითმართველობის განსავითარებლათ, წარმოადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სახალხო წარმომადგენლობა არჩეული ყველა მცხოვრებლების მიერ, რომლის დაუდასტურებლათ მცხოვრებთ ვერ დაეკისრება რაიმე გადასახადი და კაპიტალისტებზე ვერ გაიცემა საექსპლოატაციოთ ვერც ერთი ბუნებრივი სიმდიდრე. სამმართველო ორგანოები შევსებულ უნდა იქნენ ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებით.

ბ) სათემო და საოლქო სამმართველოების მოწყობა იმნაირად, რომ ისინი მკვიდრთ გადაეცეს, ხოლო არამკვიდრ უმცირესობათა უფლებები დაცულ იქნეს კანონით.

გ) ჩამოსახლებულ უმცირესობათ არ უნდა მიენიჭოს რაიმე უფლებრივი უპირატესობა არამკვიდრებთან შედარებით.

დ) ყველა პოლიტიკური და ადმინისტრატიული პოსტები, თვით უმაღლესიც, მისაწვდომი უნდა იქნეს მკვიდრთათვის.

## IV. კოლონიები განუვითარებელი კულტურით.

მსოფლიოს იმ ნაწილებში, სადაც კულტურა ნაკლებათ განვითარებულია, განსაკუთრებით ტროპიკულ და სუბტროპიკულ აფრიკაში და წყნარ ოკეანეს კუნძულებზე, იმ პოლიტიკის გასამარჯვებლათ, რომლის მიზანია ადგილობრივ სამეურნეო ძალების ექსპლოატაცია სხვადასხვა კაპიტალისტურ ჯგუფთა სასარგებლოთ, ევროპის მთავრობანი ხშირად მიმართავდენ შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ისინი ამ ქვეყნების მიწა-წყალის დიდი ნაწილის მესაკუთრეთ აცხადებდენ სახელმწიფოს, რისთვისაც ხშირად ადგილობრივ მკვიდრთ ართმევდენ მათ კერას და აძევებდენ მათ თავის ადგილ-მამულიდან, ანდა ძალზე დიდ იჯარას ადებდენ დარჩენის ნებართვის სამაგიეროთ.

ბ) მათ ძალაში შეჰყავდათ ისეთი ვითომდა ხელშეკრულებები, რომლითაც ვეებერთელა მიწის და მადნების საკუთრება ეთმობოდათ ჩალის ფასათ ევროპიელ ავანტიურისტებს.

გ) აწესებდენ იძულებით შრომას საზოგადოებრივ სამუშაოსთვის ან ადგილობრივ ადმინისტრაციის სასარგებლოთ და ან ყოველივე კანონის გარეშე აწესებდენ ან აკანონებდენ ადგილობრივ მკვიდრთა იძულებითი მუშაობას კერძო კაპიტალისტების სასარგებლოთ. სხვადასხვა საშუალებით ყიდულობდენ ადგილობრივ მეთაურებს, რათა ესარგებლნათ მათი ავტორიტეტით იძულებითი შრომის შემოსაღებათ.

დ) აწერდენ მძიმე გადასახადებს ადგილობრივ მცხოვრებთ, რომ აეძულებიათ ევროპიელებთან მუშათ შესვლა. მუდმივი და მორჩილი მუშახელით უზრუნველსაყოფათ შემოიღეს კანონით მკვიდრთა რეგისტრაცია და აუკრძალეს მათ თავისუფალი მიმოსვლა თავისავე ქვეყანაში. იმავე მიზნით ხშირათ ართმევდენ მიწებს ადგილობრივ მკვიდრთ, ან ზღუდავდენ მათ დამუშავებას.

ე) შემოიღეს კანონით ადგილობრივ მკვიდრთა უფლებრივი შეზღუდვა. აუკრძალეს მათ კვალიფიციური სამუშაოები მანქანებზე, ციხით და ჯარიმით დასასჯელ დანაშაულობათ გამოაცხადეს ადგილობრივ მკვიდრთა მიერ წინასწარ ნებადაურთველათ მუშაობაზე ხელის აღება, და ამგვარათ წაართვეს მათ გაფიცვის უფლება. დასასრულ აუკრძალეს მათ კრებების გამართვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რასაც ევროპიელების თვალში, ადგილობრივ მკვიდრთა წაქეზება შეეძლო დამქირავებლების წინააღმდეგ.

ამიტომ მუშათა სოც. ინტერნაციონალი მოითხოვს:

1. ყველა ამ კოლონიებში. ტროპიკულ და სუბტროპიკულ აფრიკის და წყნარ ოკეანის კუნძულების მთელი ის ტერიტორია, რასაც ევროპიელები აქამდე არ დაუფლებიან, აღიარებულ იქნას ადგილობრივ მკვიდრთა თემების განუთვისებელ საკუთრებათ.

2. ყოველი ადგილობრივი ოჯახი უნდა უზრუნველყოფილ იქნეს თავის გამოსაკვებათ საჭირო მიწის რაოდენობით.

3. არ უნდა დაედვას ადგილობრივ მკვიდრთ არც გადასახადი, არც სხვა რამე სახის ბეგარა, გარდა იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შესანახავისა, რომელნიც პირდაპირ ადგილობრივ მცხოვრებთა სასარგებლოთ არის დანიშნული.

4. არ უნდა იქნეს განსაკუთრებით დაშვებული ისეთი მაღალი გადასახადები, რომლის გასტუმრება მკვიდრთათვის შეუძლებელია ისე, რომ იძულებული არ გახდენ სახლკარი მიატოვონ და რომელიმე კაპიტალისტთან მუშათ დადგენ.

5. უნდა გაუქმდეს ყოველი იძულებითი ფორმა შრომის, ან გრძელვადიანი ხელშეკრულობით მუშაობა, როგორც ეს დაწესებულია ჩინელ მუშათა მიმართ და ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივე სახის დაბეგვრა, ან ძალდატანება, რომლის მიზანია ადგილობრივ მკვიდრთ ქირით მუშაობისთვის მოაკიდებინოს ხელი.

6. ყველა სამუშაო ხელშეკრულება უნდა შედგენილ იქნას თანახმათ სანიმუშო ხელშეკრულების, რომელსაც მთავრობა იმუშავებს და აქვეყნებს. ამ ნიმუშებში უნდა ჩართულ იქნეს სხვათა შორის შემდეგი მუხლები:

ხელშეკრულების ვადა და მისი განახლების პირობები.

ხელფასის რაოდენობა და მიცემის წესი.

სამუშაო დრო.

სამუშაო ადგილი.

ზომები, რომელიც უნდა მიიღოს გამქირავებელმა მუშის ჯანსაღობის დასაცველათ (საავათმყოფოების აგება და საექიმო დახმარების მოწყობა).

ანაზღაურება მუშის ან მისი მახლობლების, მუშისგან ნაწილობრივ ან სრულიად შრომის უნარის დაკარგვის გამო შედეგათ შრომის პირობებით გამოწვეულ უბედურ შემთხვევის ან ავათმყოფობისა.

სათანადო შემთხვევაში, რაოდენობა და ხარისხი საჭმელ-სასმელის, და დაწვრილებით აღწერა საბინაო პირობების, რომელიც მწარმოებელმა უნდა მისცეს მუშას.

7. ყოველი შრომის ხელშეკრულება უნდა დამოწმებულ იქნას სამოსამართლო ან ადმინისტრატიული დაწესებულების წარმომადგენლისგან, რომელიც ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ხელშეკრულობის შინაარსი ეთანხმება სანიმუშო ხელშეკრულებას, მთავრობის მიერ შემუშავებულს, რომ იგი სრულიათ სისწორით ესმის დაინტერესებულ მუშას, და რომ უკანასკნელი სრული ნებაყოფლობით იღებს მას.

8. სამუშაო ხელშეკრულებას უნდა ქონდეს ხასიათი სამოქალაქო უფლებრივი აქტის, და მისი დარღვევა უნდა გაირჩეს მხოლოდ სამოქალაქო წესით. სისხლის სამართლის სასჯელი სამუშაო ხელშეკრულობის დარღვევისათვის, დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს.

9. სამუშაო ხელშეკრულობის დადება არ შეიძლება ერთი წლის მეტი ვადით, და განახლების შემთხვევაში დაცულ უნდა იქნას ყველა გარანტიები, რომელიც გათვალისწინებული იყო პირვანდელ შედგენის დროს.

10. მუშა ხელის დაქირავება და შრომის პირობები იმნაირათ უნდა მოწესრიგდეს და ისეთ კონტროლს დაექვემდებაროს, რომ თავიდან აცილებულ იქნას დამონება მრეწველობაში და მკვიდრთა თემისა ან საგვარეულო ერთეულთა სამეურნეო ცხოვრების დარღვევა.

11. კონგრესი უარყოფს ყოველ პირობის გარეშე იმ პრინციპს, რომლის ძალით მუშათა უფლება წარმოებაში მატულობს ან მცირდება მათი რასიული ვინაობის მიხედვით.

ის მოითხოვს:

12. შრომის დაცვის ფართო კანონმდებლობას, განსაკუთრებით ბავშვების და ქალების მფარველობას.

13. უცხოელმა კაპიტალისტებმა და პლანტატორებმა, რომელნიც ამუშავებენ ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეებს, თავის მოგების საკმაო ნაწილი უნდა გადასდონ მკვიდრ მოსახლეობის შორის ფართო კულტურულ მუშაობის საწარმოებლათ.

14. შესაძლებლობის ფარგლებში, ბუნებრივი სიმდიდრეები უნდა მუშავდებოდეს საზოგადოებრივ წარმოების სახით, რომელთა შემოსავალი უნდა მოხმარდეს თვით ქვეყნის განვითარებას და ფართო საზოგადოებრივ კეთილდღეობის პოლიტიკას.

15. მთავრობა უნდა დაეხმაროს და წააქეზოს ადგილობრივ მკვიდრთა მიწათმოქმედება და სასოფლოსამეურნეო საქონლის წარმოება. საცა საჭიროა მანქანები, სამეცნიერო დახმარება, და სხვ. მთავრობამ უნდა მოუპოვოს საჭირო კაპიტალი სასოფლო საკრედიტო ბანკების ან სხვა საშვალებით. ხელი უნდა მოუმართოს შრომის გაუმჯობესებულ მეთოდების შემოღებას და დაეხმაროს გამსაღებელ კოოპერატივებს. შემდეგ მთავრობებმა უნდა ხელი შეუწყონ ადგილობრივი მკვიდრთაგან მომხმარებელ კოოპერატივების დაარსებას.

16. სამოსწავლო საქმეს მიზნათ უნდა ქონდეს ადგილობრივ მკვიდრთა მომზადება თანამედროვე პოლიტიკურ, სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებისათვის. აღზრდის სისტემა უნდა ეგუებოდეს სათანადო კოლონიალურ ქვეყნის საერთო კულტურულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონეს. სწავლა-განათლების ხარჯები საზოგადოებრივ საშვალებებიდან უნდა დაიფაროს.

სანამ ამ ქვეყნების ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ შესძლებდეს დემოკრატიულ-პარლამენტალური დაწესებულების საშვალებით მართოს განახლებულ სახელმწიფოს რთული აპარატი, საჭიროა თვალყური ედევნოს, რომ ევროპიელებს, თეთრკანიანებს საერთოთ, როგორც ექსპლუატატორთა კლასს არ ქონდეს შეუზღუდველი უფლება მართვა-გამგეობის.

მსაჯულები და მოხელეები დამოუკიდებელი უნდა იყვენ ადგილობრივ ჩასახლებულ ევროპიელებისგან. სამოსამართლო დაწესებულებები და მართლმსაჯულება უნდა უწევდეს მკვიდრთ ისეთსავე ფართო უფლებრივ მფარველობას, როგორც გაბატონებულ ხალხის მოქალაქეთ.

იქ საცა არსებობს ადგილობრივი ადმინისტრატიული დაწესებულებები ოჯახის, სოფლის ან გვარეულობის, ეს ორგანიული დაწესებულებები უნდა დაცულ იქნან და რამდენათაც შეიძლება ნამდვილ მომქმედ დაწესებულებებათ გადაიქცენ. საჭიროების დროს ადგილობრივ მკვიდრთ დახმარება და მფარველობა უნდა გაეწიოს აგრეთვე თვით მათი მეთაურების წინაამდეგაც.

სადაც სათათბირო ორგანოები არსებობენ, ეს დაწესებულებანი უნდა წარმოადგენდენ მცხოვრებთა ყველა კლასებს სამართლიანი პროპორციის დაცვით ადგილობრივ მცხოვრებთა და ევროპიელთა ინტერესებს შორის. თავისთავათ იგულისხმება, რომ ადგილი უნდა ექნეს ადგილობრივ მცხოვრებთა გავლენის გაძლიერებას. სადაც არსებობს არჩეული დაწესებულებები, არჩევნები უნდა იყოს საყოველთაო და თანასწორი, დამყარებული ერთ საარჩევნო სიაზე, გარეშე ყოველივე უპირატესობისა. ჩასახლებულნი უნდა სარგებლობდენ სრული თანასწორობით განურჩევლათ ეროვნებისა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჰიგიენის საქმე ენერგიულათ და რაც შეიძლება ფართოთ უნდა იქნეს წარმოებული მთელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ოპიუმის, სპირტეულობის და სხვ. ამგვარ დამათრობელ ნივთიერებათა მავნე გავლენის შესამცირებლათ, უნდა აკრძალულ იქნეს მათი წარმოება და გაყიდვა.

## V. საერთო დებულებები.

ყველა კოლონიებში უნდა აკრძალულ იქნეს ადგილობრივ მცხოვრებთა სამხედრო სამსახური სხვა რაიმე მიზნით, გარდა სამშობლოს დაცვისა, სანამ ამ ქვეყნების მცხოვრებლები სრულ თავისუფლებას მოიპოვებდენ.

რაც შეეხება მანდატების სისტემას, კონგრესი აღიარებს: პრინციპი მანდატორის პასუხისმგებლობისა ერთა ლიგის წინაშე არ შეიძლება შეზღუდულ იქნეს მხოლოდ ზოგიერთი რაიონებით; ის უნდა გავრცელდეს ძველ ტროპიკულ და სუბ ტროპიკულ აფრიკაზე და სხვა ამგვარ კოლონიებზე ჩამორჩენილი კულტურით. ხალხთა ლიგას უნდა ექნეს უფლება თვალყური ადევნოს იმ ვალდებულებათა რეგულიარულ ასრულებას, რაც გამომდინარეობს მანდატორის და სამანდატო ხალხის ურთიერთობიდან. მანამდე კი ერთა ლიგის სამანდატო კომისიის უფლება უნდა გაფართოვდეს, განსაკუთრებით, მან უნდა მოისმინოს სიტყვიერი მოწმობები იმ პეტიციების გამო, რომელსაც ამ ქვეყნების მომჩივანთა წრეები წარმოადგენენ.

მუშათა ინტერნაციონალურ ბიუროს ევალება შეიმუშავოს ადგილობრივ მუშათა დასაცველათ კოდექსი, რაც უნდა მიღებულ იქნეს ყველა კოლონიის მქონე სახელმწიფოებისგან, როგორც მინიმალური კოდექსი მუშათა დაცვისა და რომლის განხორციელებას ერთა ლიგის სამანდატო კომისიამ უნდა თვალყური ადევნოს მანდატის ქვეშ მყოფ ყველა ქვეყნებში. ყველა იმ ადგილებისთვის, რომელიც მანდატის ქვეშ არ იმყოფება, მთავრობებმა უნდა მიიღონ ეს კოდექსი, როგორც მინიმუმი და მიანდონ ერთა ლიგის სამანდატო კომისიას უფლება მისი დაცვისათვის თვალყურის დევნების.

კონგრესი მოითხოვს ყველა კოლონიალური ქვეყნებისთვის «ღია კარების» პოლიტიკას, სრულ კომერციულ თანასწორობას ყველა სახელმწიფოებისთვის, და ჩასახლების თანასწორ უფლებას ყველა ერთა გადმოსახლებულთათვის იქ, სადაც მათი ჩასახლება შესაძლებელია ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესების დაუზიანებლათ.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს თავის მომხრე პარტიებს კავშირი-იქონიონ დაჩაგრულ ერთა მოძრაობასთან, რომლის მიზანია დამოუკიდებლობა, რათა მხარი დაუჭირონ მათ ბრძოლას იმ პრინციპებისა და მოთხოვნილებები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, რომელიც აღნუსხულია ამ რეზოლიუციაში, ხოლო განსაკუთრებით დახმარება გაუწიონ ამ ქვეყნების მუშათა პროფესიონალურ და პოლიტიკურ მოძრაობის განვითარებას მათზე გავლენის მოხდენით დემოკრატიზმისა და სოციალიზმისაკენ წასამართავათ.

## მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობა და პროლეტარიატის ამოცანები.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ სწრაფათ ვითარდება საერთაშორისო ხასიათის მონოპოლისტური ორგანიზაციები, ტრესტების და კარტელების სახით. ეს ახალი ფორმის, ინტერნაციონალურათ შეკავშირებული კაპიტალიზმი იჭერს ადგილს კონკურენციაზე დაყრდნობილ ინდივიდუალისტურ კაპიტალიზმისა: მომხმარებელთა მიმართ ის არის დიქტატორი, რომელიც ფასებს უკარნახებს; მისი გავლენის ქვეშაა მსოფლიო მეურნეობა, მისგან დამოკიდებულია მრავალი მთავრობა, ის უქმნის უდიდეს დაბრკოლებებს იმ მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ მის ბატონობას გაექცენ; ის რაზმავს მუშათა კლასის წინააღმდეგ კაპიტალიზმის უფრო და უფრო მრისხანე ძალებს.

კაპიტალის კონცენტრაციის გაძლიერებასთან ერთად ვითარდება წარმოების რაციონალიზაცია, რაც საშვალებას აძლევს კაპიტალიზმს გაძლიერებული ტემპით შეამციროს წარმოებაში მუშათა ხელის რაოდენობა და სხვადასხვა ტეხნიკური საშუალებებით მიაღწიოს შრომის ინტენსიფიკაციას და ასე გააძლიეროს ექსპლოატაცია და მუშათა ძალის სავსებით ამოწოვა. ტეხნიკის და რაციონალიზაციის განვითარება, ერთი მხრით, ამრავლებს საქონლის რაოდენობას და მეორე მხრით კი ზრდის უმუშევრობას, რომელიც განსაკუთრებით მწვავეა ინგლისში, საცა ასიათასობით მაღაროს მუშები მრავალ წლობით მოკლებულნი არიან სამუშაოს მოპოების იმედს.

«კაპიტალის ახალ ორგანიზაციასა და საწარმოო ტეხნიკის განახლებასთან დაკავშირებულია გადატრიალება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. კაპიტალისტურ მეურნეობის სიმძიმის ცენტრი გადავიდა ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. აჩქარებული ნაბიჯით მიდის წინ აგრესიულ ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია. კოლონიალურ ქვეყნებში: ინდოეთში, ჩინეთში და სხვ. ვითარდება ქალების და ბავშვების სამარცხვინო ექსპლოატაციაზე დაყრდნობილი ახალი მრეწველობა. რუსეთის კონტინენტი თითქმის გამორიცხულია მსოფლიო მეურნეობის ფარგლებიდან.

«მსოფლიო მეურნეობის ორგანიზაცია საერთაშორისო ფინანსიურ და სამრეწველო ტრესტების მიერ არ სპობს ეროვნულ წინააღმდეგობებს. საერთაშორისო კარტელების შიგნი გრძელდება ნაციონალური ბრძოლა ბაზრის გასანაწილებლათ. ეკონომიური პოლიტიკა მაღალ მფარველობითი ბაჟებისა, რომელსაც აწარმოებენ ზოგიერთი სახელმწიფოები, გაძლიერებული ერთის მხრით საომარ მრეწველობათა განვითარების ცდით მაღალ ბაჟების მფარველობის ქვეშ, ხოლო მეორე მხრით ომის შემდეგ წარმოშობილ ახალსახელმწიფოთა ეკონომიური ნაციონალიზმით—პოულობს ახალ მამოძრავებელ ძალას საერთაშორისო კარტელთა შიგნი ბაზრის ეროვნული განაწილებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. საქონლის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის შეზღუდვას თან ერთვის მუშათა ხელის თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვა, რაიცა აძლიერებს ეროვნულ შუღლს და ქმნის ომის საშიშროებას.

«მაგრამ ზემოაღნიშნული ცვლილებანი, მომხდარი მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში, არამც თუ არ არყევს პროლეტარიატის რწმენას მომავლისადმი, არამედ, პირიქით, მოწმობს რომ კაპიტალისტური განვითარება თვით ქმნის, და ქმნის რაც დრო გადის, მით უფრო ჩქარი ნაბიჯით, კაპიტალიზმის დაძლევისათვის ხელსაყრელ პირობებს. თუ კაპიტალისტური მონოპოლიები პირველ ხანებში უმძიმეს ტვირთათ აწვებიან ხალხებს, ისინი, მეორე მხრით, ცხადყოფენ რომ თვითგანვითარების პროცესი მოითხოვს კონკურენციის რეჟიმის შეცვლას საზოგადოებრივი წარმოების მწყობრი ორგანიზაციით. თუ რაციონალიზაციის უშუალო შედეგია მშრომელთა გაჭირვების გაძლიერება და უმუშევართა რიცხვის გამრავლება, მეორე მხრით, ეს რაციონალიზაცია ცხადჰყოფს, რომ შრომის ნაყოფიერების უმაღლეს ხარისხამდე აყვანით იქმნება წინასწარი ეკონომიური პირობები, რომელიც ყოველი ადამიანისთვის ხელმისაწვდომს გახდის კულტურული ცხოვრების მოწყობას. თუ საერთაშორისო კარტელები და ტრესტები, ერთის მხრით, კაპიტალის უღელს ადგამენ მთელ ხალხებს და სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოებს, მეორე მხრით ისინი ცხადჰყოფენ, რომ ვითარდება წინასწარი პირობები მსოფლიო ბაზარზე ანარქიის მოსპობისა და მსოფლიო მეურნეობის საერთაშორისო ფარგლებში მწყობრათ მართვისათვის.

«კაპიტალისტური განვითარება თვით უკარნახებს მუშათა კლასს, რომ კონცენტრაციაქმნილი წარმოება უნდა განთავისუფლებულ იქნას უდიდეს კაპიტალისტურ ძალთა ბატონობისაგან და გადავიდეს ერთა და ერების კრებულთა ხელში.

«თვითეულ ერის წიაღში პროლეტარიატმა უნდა ისწავლოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების გამოყენება ა) კაპიტალისტური მონოპოლიების დასამქვემდებარებლათ საზოგადოებრივი კონტროლისა და შეკავშირებული მუშათა კლასის კონტროლისათვის, ბ) საზოგადოებრივ მეურნეობის და მუშათა კოოპერატივების გასავითარებლათ და გასაფართოებლათ კაპიტალისტურ მონოპოლიების კერძო მეურნეობის ხარჯზე და გ) სოციალური კანონმდებლობის განსავითარებლათ, მუშათა მასსების დასაცველათ, რომელთა შრომას სულ უფრო და უფრო მეტ საფრთხეს უქადის წარმოების ახალი მეთოდები,—და განსაკუთრებით უმუშევრობისაგან დაზღვევის გასაფართოებლათ და შრომის პირობების კოლექტიურ ხელშეკრულებათა მფარველობის ქვეშ დასაყენებლათ.

«საერთაშორისო სფეროში მუშათა კლასმა უნდა შეასრულოს სამი ამოცანა:

უწინარეს ყოვლისა ის უნდა შეეცადოს თანდათან მოსპოს ყველა დაბრკოლებები, რომელიც საქონლის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლას აფერხებს. ამ მიზნით მან ხელი უნდა შეუწყოს იმ საერთაშორისო კონვენციათა ჩანასახების განვითარებას რომლებიც ელტვიან ექსპორტის და იმპორტის აკრძალვის გაუქმებას და მაღალ მფარველობითი ტარიფების შერბილებას, ეცადოს საყოველთაოდ შემოღებულ იქნას სხვა და სხვა ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობაში «უმეტესი შეღავათიანობის პრინციპი» და აგრეთვე «ღია კარების» პოლიტიკა ყველა კოლონიალურ ტერიტორიებისათვის, ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის მსოფლიო მეურნეობის სფეროში შემოსვლას.

«შემდეგ, მუშათა კლასი უნდა ეცადოს მიაღწიოს შრომის პირობების საერთაშორისო მასშტაბით გათანასწორებას მშრომელთა მფარველ საერთაშორისო კონვენციების განვითარებით, და კერძოთ ამ კონვენციების გავრცელებით ინდუსტრიალურათ ჩამორჩენილ ქვეყნებზე (რომლის განსაკუთრებით ცუდი შრომის პირობები ქმნიან დაწინაურებულ ქვეყნებისათვის საშიშ კონკურენციას), პროფესიონალური მოძრაობისათვის ხელის მომართვით ამ ჩამორჩენილ მხარეებში და კოლონიალური მუშახელის, რაც შეიძლება, აქტიური მფარველობით. მუშათა კლასმა უნდა განაგრძოს თავისი ცდა, რათა პროფესიონალურ კავშირებსა და მუშათა პარტიებს შორის მიღწეულ იქნას თანხმობა საერთაშორისო გადასახლების საკითხის მოწესრიგების საქმეში.

«დაბოლოს, მუშათა კლასმა უნდა მოითხოვოს, რომ ერთა ლიგასთან დაარსებულ იქნას შეკავშირებულ მუშათა რეალურ კონტროლის ქვეშ მყოფი საერთაშორისო ეკონომიური ბიურო; ამ ბიუროს დაეკისრება უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო ტრესტების და კარტელების კონტროლი. ის თანდათანობით გააფართოებს თავის მოქმედების სფეროს და გადაიქცევა ამნაირად მსოფლიო მეურნეობის მომავალი ორგანიზაციის ჩანასახათ.

«უსახავს რა მასში შემავალ სოციალისტურ პარტიებს ამ უშუალო მიზნებს, მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს გაერთიანდენ ბრძოლისათვის შემდეგი ლოზუნგით:

ერის ბატონობა ნაცვლათ ტრესტების ბატონობისა!

ერთა კრებული ნაცვლათ მსოფლიო კაპიტალიზმის გაერთიანებისა!

---

## განიარაღება.

რეზოლიუცია აცხადებს, რომ ინტერნაციონალის მიზანია ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში სრული განიარაღება, როგორც ე. წ. გამარჯვებულ, აგრეთვე დამარცხებულ სახელმწიფოებისა.

კაპიტალიზმის საერთო ტენდენციები ომისაკენაა მიმართული. მაგრამ თანდათან ვითარდება ისეთი ტენდენციებიც, რომლებმაც გაბატონებულ კლასთა ზოგიერთი წრეები შეიძლება აიძულონ დასთანხმდენ პრინციპიალურად შეიარაღების შემცირებას. საერთაშორისო სოციალიზმის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახდინოს მთავრობებზე მაქსიმალური გავლენა აღნიშნულ ტენდენციების გამოსაყენებლათ, რათა, ერთის მხრით, დაძლეულ იქნას საწინააღმდეგო მიმართულებით მომქმედი ძლიერი იმპერიალისტური და მილიტარისტული ტენდენციები და, მეორე მხრით, მიღწეულ იქნას ამ გზით საერთაშორისო შეთანხმება განიარაღების შესახებ. იმ დაბრკოლებათა დაძლევა, რომელიც ეღობება წინ განიარაღებას, შესაძლებელია მხოლოდ უძლიერეს პოლიტიკურ ზეგავლენის საშვალებით. ამ ზეგავლენის მოხდენა სახალხო მასებში და აგრეთვე პარლამენტებში განუწყვეტელი და ენერგიული მუშაობის საშვალებით—შეადგენს მუშათა სოციალისტურ პარტიების ამოცანას.

«მუშათა სოც. ინტ-ლი ავალებს ყველა სოციალისტურ მუშათა პარტიებს:

1. იბრძოლონ თავის ქვეყანაში ისეთი კანონის შემოღებისათვის, რომელიც აკრძალავს ყოველგვარ სამხედრო ან სამრეწველო მობილიზაციას მანამ, სანამ ატეხილი საერთაშორისო კონფლიქტი არ გადაეცემა ერთა ლიგას ან არ გახდება საგანი სამშვიდობო მოგვარებისა სხვა რაიმე წესის საშვალებით.

2. მოახდინონ რაც შეიძლება მძლავრი მასიური ზეგავლენა. თუ საჭირო იქნება რევოლიუციურ ფორმებშიაც კი, ყოველივე მთავრობაზე, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო კონფლიქტი ატყდა, უარს იტყვის დაემორჩილოს სამედიატორო განაჩენს და ომის გამოწვევას ესწრაფება».

ინტერნაციონალი მოითხოვს, რომ ყველა საერთაშორისო კონფლიქტი გადაეცეს სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს ან გახდეს საგანი სამშვიდობო მოგვარების სხვა რაიმე წესისა.

ინტერნაციონალი მოითხოვს, რომ ურეზერვოთ (უპირობოთ) მიღებულ იქნას და წარედგინოს ხელის მოსაწერათ ერთა ლიგის მე-9 ყრილობას საერთო და საყოველთაო ხელშეკრულება სამედიატორო სასამართლოს და მოსაშვალეობის შესახებ, რომელიც «კონვენცია»-ს სახელწოდებით წარუდგინეს ერთა ლიგის მე-8 ყრილობას შვეციის და ნორვეგიის დელეგაციებმა. პარტიებმა თავიანთ ქვეყნებში უნდა მოახდინონ გავლენა, რათა შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნან ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ.

განიარაღება არ უნდა იყოს ცალმხრივი. რომ ის საყოველთაო გახდეს, არსებულ პირობებში აუცილებელია მიღწეულ იქნას პირველი საფეხური—საერთაშორისო შეთანხმება განიარაღების შესახებ, რისთვისაც საჭიროა რაც შეიძლება საჩქაროთ მოწვეულ იქნას. განიარაღების კონფერენცია და ამ მიზნით დაჩქარებულ იქნას ამ კონფერენციის მოსამზადებელ კომისიების მუშაობა.

განიარაღების ზავის ხანაში საერთაშორისო შეთანხმებამ უნდა უზრუნველჰყოს: 1) რაც შეიძლება მცირე რაოდენობა იმ ჯარისა, რომელიც თავმოყრილია ყაზარმაში; 2) განსაზღვრა იარაღის და სამხედრო მოწყობილობის, რომლის მომარაგების უფლება აქვს თვითეულ სახელმწიფოს.

იქ, საცა ჯარის ორგანიზაცია აშენებულია საყოველთაო სამხედრო ბეგარაზე, უწინარეს ყოვლისა უნდა მიღწეულ იქნას შემოკლება სამსახურის ვადისა და აგრეთვე ჯარში გასაწვევთა რიცხვისა. ამავე წესით უნდა იქნას შემცირებული საზავო ხანის კონტინგენტი იმ ქვეყნებში, საცა დაქირავებულ ჯარის სისტემა არსებობს. გარდა ამისა, საგანგებო საერთაშორისო შეთანხმების ძალით ყველა ქვეყნებისთვის გატარებული უნდა იქნას შემდეგი ზომები: 1) აკრძალვა ომის მიზნებისათვის გაზის და ბაქტერიების ხმარებისა. 2) განსაზღვრა მძიმე ზარბაზნებისა, ტანკების და აეროპლანების რიცხვის, აგრეთვე საზღვაო ფლოტის. 3) ჯარისა და ფლოტის ხარჯების შემცირება. 4) საომარ საშუალებებთა წარმოების, ვაჭრობის და ტრანსპორტის ნაციონალური და საერთაშორისო კონტროლი. 5) უნდა აიკრძალოს დევნა და დასჯა იმ პირთა, რომლებიც აქვეყნებენ ცნობებს საიდუმლო შეიარაღებაზე.

6) ყველა ამ ზომების გასატარებლათ საერთაშორისო კონტროლი ერთა ლიგის, ან უფრო ფართო ორგანიზაციის საშვალებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ის ერები და სახელმწიფოები, რომელნიც ერთა ლიგაში არ შედიან.

ყველა ამ ზომებს მხოლოდ იმდენათ ექნება რეალური მნიშვნელობა, რამდენათაც ძლიერი იქნება ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ჩარჩოებში მუშათა კლასი. თუ სახელმწიფო ხელისუფლება იმპერიალისტურ კლასებს შერჩა, ისინი მომავალ ომში მოურიდებლათ დაარღვევენ ყველა შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს ქიმიურ ომის და სხ. აკრძალვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე დიდ საშიშროებას შეადგენს ქიმიურ მრეწველობის ორგანიზაცია და ამ საშიშროების დასაძლევათ აუცილებელია ამ მრეწველობის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დაყენება ან მისი სოციალიზაცია იმ ქვეყნებში, საცა მუშათა კლასი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

სოციალისტური მუშათა პარტიები იბრძოლებენ თავიანთ ქვეყნებში იმისათვის, რომ მათ სახელმწიფომ საერთაშორისო შეთანხმების გარეშე, საკუთარი ნებით, შეაჩეროს ან შეამციროს შეიარაღება.

ამავე დროს სოც. მუშათა პარტიები უნდა შეეცადონ ჯარსა და ფლოტში უმაღლეს გამგებლობის და მისი შინაური ორგანიზაციის დემოკრატიზაციის მოხდენას. ამისათვის ისინი მოითხოვენ: ჯარის და ფლოტის განკარგულება უნდა გადაეცეს პარლამენტს, რომლის დადგენილების გარეშე არავითარი, თვით ნაწილობრივი მობილიზაციაც კი არ უნდა იყოს გატარებული; აკრძალული უნდა იყოს სამხედრო ძალის ჩარევა შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლაში. 2) მოსპობილი უნდა იქნეს ყველა დაბრკოლებები, რომლებიც ჯარსა და ხალხს ერთი მეორისაგან აშორებენ და ხდიან ჯარს კაპიტალისტურ კლასების იარაღათ მუშების საწინააღმდეგოთ. ამისთვის საჭიროა სამხედრო სამსახურის დროს შემცირებასთან ერთად, ჯარისკაცებისათვის სამოქალაქო უფლებების მინიჭება, ოფიცერთა შემადგენლობის დემოკრატიზაცია, საზავო ხანაში საგანგებო სამხედრო სასამართლოების გაუქმება და სხვ...

საერთაშორისო კონტროლის ქვეშ უნდა აკრძალულ იქნეს შეიარაღებულ ფაშისტურ ორგანიზაციების მოწყობა და საერთოდ სამხედრო ორგანიზაციები.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მოაგონებს მთელი ქვეყნის მუშებს, რომ ომი მხოლოდ მაშინ იქნება საბოლოოთ დაძლეული, როცა მთელს ქვეყნიერებაზე გაიმარჯვებს სოციალიზმი. კაპიტალისტურ საზოგადოების არავითარ განახლებას არ ძალუძს მოსპოს ომის გამომწვევი ძალები, რომელიც თვით მის არსებაშია ჩაქსოვილი».

«სანამ მთავრობები იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ, ზავის განმტკიცება შეუძლებელია... საერთაშორისო სოციალიზმის ვალია გაურკვიოს ხალხის მასებს, რომ განიარაღების ყოველივე კონფერენციები უაზრობაა, სანამ მათში მონაწილე მთავრობები განაგრძობენ საომარ პოლიტიკის წარმოებას.

«მუშათა სოც. ინტერნაციონალი აცხადებს, რომ უწინარეს ყოვლისა მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის დამოუკიდებელ და პირდაპირ ბრძოლით კაპიტალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ შესაძლებელია ხალხების განიარაღების გზაზე შედგომა.

ამიტომ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს:

ზავის საყოველთაო ორგანიზაცია.

სრული განიარაღება!

დაუზოგავი ბრძოლა კაპიტალიზმის ყველა ფორმების წინააღმდეგ?

## ორი თვე ბალტიის ქვეყნებში.

### I. ფინლიანდია.

ნათქვამია, მონანიებული ცოდვა ნახევრად პატიებულიაო და მეც თავიდანვე უნდა გამოუტყდე მკითხველებს, რომ ამ რვა წლის განმავლობაში ჩემთვის სრულიად უცნობი ღრმა სიამოვნების გრძნობა იპყრობდა ჩემს არსებას, როცა ჩვენი გემი მარჯვეთ და კოხტათ უვლიდა გვერდს აქა-იქ სრუტეში გაბნეულ ყინვის მთებს და თანდათან გვაახლოვებდა ფინლიანდიის ნაპირებს.

«სენტიმენტალობა» ჩვენი მდგომარეობის ხალხისათვის, როცა, პირიქით, «გაკერპება» გვჭირია, მეტი ბარგია და ამიტომ სიამოვნების გრძნობა და ისეც კიდევ ღრმა სიამოვნების, სხვის ბედნიერ ოჯახში შესვლით გამოწვეული, მაშინ როდესაც შენი საკუთარი სამგლოვიარო ძაძებით არის შემოსილი, დამეთანხმეთ, მეტი რომ არ ვთქვათ, უადგილოა; მაგრამ, ვინ ჩასწვდება ადამიანის სულის სიღრმეს? ვის შეუძლია მისი განსაზღვრულ კალაპოტში მომწყვდევა? და მეც, გატაცებული, ერთის მხრით, ბუნების სიდიადით და მეორე, ძველი მოგონებებით, ვცურაობ გრძნობათა სამეფოში...

ფინლიანდია და საქართველო! აი ორი მოწინააღმდეგე გეოგრაფიული წერტილი იმ ვეებერთელა იმპერიისა, რომელიც ერთ დროს დიდი რუსეთის სახელწოდებას ატა-

30670

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა და დღეს კი ბოლშევიკურ რეჟიმმა ს. ს. რ. კ-ის ფსევდონიმით მონათლა; «ფინლიანდიის ცივ კლდეებიდან ალგზნებულ კოლხიდამდე» იყო გადაჭიმული ეს რეაქციის გველეშაპი და ეხლა, მართალია, იგი კვლავ რეაქციის წყაროთ დარჩა, მაგრამ ერთი ბოლო მოჭრილი აქვს (ფინლიანდია), ფერდები ჩალეწილი (ესტონია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ბესარაბია) და სახელმწიფოებრივათ არარაობას წარმოადგენს.

გადამდები ჭირი, სანიტარული საშიშროება, ანტიჰიგიენური საფრთხე ყოველივე რაც გინდათ, მაგრამ არა დიდი სახელმწიფო, არა დიდი საერთაშორისო ფაქტორი; ეს გაქრა და ვინ უწყის რამდენი ხნით!

მაგონდება 1909 წელი. სტოლიპინის ბატონობის აპოგეია. რევოლიუციაზე გამარჯვებით დამთვრალი დიქტატორი თავს ესხმის ფინლიანდიას, სურს მისი კონსტიტუციის გაუქმება. ფინლიანდიის დემოკრატია და მისი მეთაური სოციალდემოკრატია ფეხზე დადგა, ბრძოლის ველზე გამოვიდა. მთელი ერი განურჩევლათ სოციალურ მდგომარეობისა მთლიან ბანაკს წარმოადგენს. წარმტაცი სურათი შეუდრეკელი ეროვნული ნების ყოფისა, მისი გმირული თავგანწირვისა თავისუფლების დაცვის საქმეში და იმავე დროს გულის მომკვლელი, დამაღონებელი უიმედობით, უპერსპექტივობით.

მართლადაც, განა შესაძლოა კაცმა წარმოიდგინოს ამაზე უფრო წინასწარ წაგებული ბრძოლა? უხეში ძალით შეიარაღებული ბუმბერაზი რუსეთი, უძლიერესი მილიტარისტული სახელმწიფო, საერთაშორისო ჟანდარმი და პატარა, უცნობი ფინლიანდია! თვით რუსეთში დამარცხებული, სისხლიდან დაცლილი დემოკრატია და ყოვლის შემძლე დიქტატურა; გარეთ კი, ინდიფერენტული, გალაღებული, რუსულ საერთაშორისო კომბინაციებში გართული, ევროპა; ამ საერთო სიჩუმეში დისონანსი მხოლოდ «უპასუხისმგებლო» ჰოლანდიას შეაქვს თავის პროტესტით, რაც ევროპის დიპლომატთა სახეზე სარკასტიულ ღიმილს იწვევს.

რუსეთის რეაქციამ თითქოს დაასამარა ფინლიანდიის ავტონომია. პურიშკევიჩმა დუმაში მას «სულთათანაც» უგალობა—გვახსოვს მისი ისტერიული finis Finliandae (მოკვდა ფინლიანდიაო), მაგრამ... დახეთ ბედის საშინელ დაცინვას, მის ცვალებადობას! სად არიან დღეს ეს მესამარენი? ისტორიის სქელი ფერფლი ფარავს მათ უმგვანო სახელებს, ფინლიანდია კი თავისუფალია და მოწინავე ერთა ოჯახში საპატიო ალაგი უჭირავს.

აი ნათელი, კიდევ გუშინდელი, უმჭერმეტყველესი მაგალითი იმისა, თუ საით მივყევართ ცხოვრებას, თუ რას გვასწავლის ის. რას გვეტყვიან ამაზე ისინი, ვინც სიბეცით ან სულმოკლეობით, გამოდიან რა ბოლშევიკურ რეჟიმის არსებობის ფაქტიდან, რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას ურყევათ თვლიან და ქართველ ხალხს თავისუფლების დროშის ხელიდან გაგდებას ურჩევენ. მათ ავიწყდებათ, ან ივიწყებენ, რომ კაპიტოლიდან ტარპეის კლდემდე მხოლოდ ერთი ნაბიჯის მანძილია.

დრონი იცვლებიან. მაგონდება, ფინლიანდიის სოც.-დემოკრატიის ლიდერების მათი განცდის დღეებში ჩვენ ფრაქციაში ხშირი სტუმრობა. ვიგონებ ჩვენ საერთო სხდომებს, გულგაშლილ საუბარს, საერთო ძალებით სტოლიპინის წინააღმდეგ ბრძოლას. დღეს როლები შეიცვალა. ეხლა ჩვენ მივდივართ მათთან, ეხლა ჩვენ ვითხოვთ მათგან დახმარებას...

ჩვენი პატარა გემი ნავთსადგურში მარდათ შესრიალდა და ჩვენც ჰელსინგფორსში (ფინურად—ჰელსინკი) ამოვყავით თავი.

სრული თერთმეტი წელი არ მენახა ეს ქალაქი; ვხედავ იგივეა. მაგრამ ამავე დროს მას რაღაც ახალი, ჩემთვის უცნობი, ნიშანი აზის; იგივე—თავისებური ჩრდილოელი სილამაზე, ევროპიული მოკაზმულობით, სიწმინდით, წესრიგით; მხოლოდ ვამჩნევ, რომ წელშია სავსებით გამართული, მედიდური საკუთარ ღირსების შეგნებით; ათი წლის თავისუფალ ცხოვრებას ერთიანად გადაურეცხავს მისი შუბლიდან მონჩილების დაღი; არავითარი კვალი იმისა, რომ მან ამდენი დრო აზიურ დესპოტიის უღლის ქვეშ გაატარა; ერთი სიტყვით, თავისუფალი დედაქალაქი თავისუფალ, კულტურულ ერისა!

საზოგადოთ, ყველა ერისათვის დედაქალაქი ცოცხალი გამოხატულებაა მისი ეროვნული გენიალობის, მისი ინდივიდუალობის; პარიზი—თვით საფრანგეთია: სხვა ხალხი მას ვერ შექმნიდა, ისე როგორც ლონდონს ვერავინ სხვა გარდა ინგლისელებისა.

ჰელსინკი—ფინლიანდიაა სკანდინავიის ელფერით: უპრეტენზიო, მონოტონური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე, დაღვრემილი, მაგრამ იქ ყოველივე თავის რიგზეა, უმაღლესი ტეხნიკით შეიარაღებული—სახლები, ქუჩები, დაწესებულებანი, ძეგლები.

ვშიშობ, ასეთ მოგრძო შესავალმა ჩემ წერილს არ მისცეს «საგზაო შენიშვნების» ხასიათი. ჩემი ფინლიანდიაში მოგზაურობა, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა თვალის საამებათ გასეირნება და ან თუნდ ამ კუთხის ეკონომიური ან პოლიტიკური ვითარების თვალ-გადავლების მიზნით გამოწვეული; ყოველივე ამაზე გზა და გზა თუ მოგვიხდება შეჩერება. მოგზაურობას ჰქონდა განსაზღვრული ამოცანა: გამეცნო ამ ხალხისათვის საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, მისი შვიდი წლის ტყვეობის ისტორია, მისი შეურიგებელი ბრძოლა, მისი ტანჯვა და მომავლის იმედები.

როგორ შეხვდა საქართველოს ტრაღედიას ფინლიანდიის ერი და მისი დემოკრატია?

თავიდანვე შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით ამ კულტურულ ხალხის საქართველოსადმი ღრმა სიმპატიებში. აბა სად და რომელი ხალხია სხვაფრივ მისდამი განწყობილი? მით უმეტეს ის ერი, რომელიც კიდევ გუშინ იმავე მონობის ქვეშ გმინავდა და მხოლოდ დღეს შესძლო ამ ჯაჭვების დამსხვრევა. თუ რამ ახალი იყო აქ ჩვენთვის, ეს მხოლოდ ის სიმხურვალე და ექსპრესია, რომელიც ამ ჩრდილოეთის ბუნებით ცივმა ხალხმა მტარვალებისადმი პროტესტებში ჩააქსოვა,—მხოლოდ ის გულწრფელი და განუზომელი ენტუზიაზმი, რომლითაც ფინლიანდიის დემოკრატიამ საქართველოს წარმომადგენელი მიიღო. თქვენ ამას დაინახავდით და იგრძნობდით ყველგან: ზღვა-მიტინგებზე, საჯარო მოხსენებებზე, პარტიულ კრებებზე, ბანკეტებზე, პრესაში.

«ვერა, ვერ ჩაახრჩობს სისხლში ვერაგი მტერი მებრძოლ საქართველოს», აი ანშლაგი პირველ გვერდზე, რომლითაც გამოვიდა ჩვენი საჯარო მოხსენების მეორე დღეს სოც. დემ. პარტიის ცენტრალური ორგანო და მთელმა პრესამ, მთელმა საზოგადოებამ მისცა ბანი ამ კეთილშობილურ ყიჟინას.

არავინ იფიქროს, რომ ს. დ. პარტიის გამოსვლა საქართველოს სასარგებლოთ ჩემი იქ ყოფნით იყო გამოწვეული; ეს მხოლოდ საბაბათ გამოიყენა მან. საერთოდ დღიდან ჩვენი დაპყრობისა, საქართველოს დაცვის საქმე, მისი პოპულიარიზაცია ფინლიანდიის ს. დემოკრატიას თავისათ აქვს მიჩნეული.

ს.-დემოკრატია კი უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალაა ფინლიანდიაში, ის სახელმწიფოა სახელმწიფოში. იგი ძლიერია არა მარტო თავის პოლიტიკური გავლენით, არამედ იმ საზოგადოებრივი აპარატით, რომელიც მას ხელთ უპყრია. თუ გნებავთ ეს უკანასკნელი მისი პოლიტიკურ ძლიერების წყაროა. ფინლიანდიელი ამხანაგები ხშირად ადარებენ თავის და საქართველოს ს. დ. პარტიებს თავიანთ ხალხებზე გავლენის მხრივ. ასეთი ანალოგია სწორია, თუ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ წმინდა პოლიტიკურ სფეროს

დანარჩენებში... ჩვენდა სავალალოთ, რა მსგავსებაა!

ფინლიანდიის პარტიის ძლიერება არა მარტო პარტიულ წევრთა რიცხვშია, არა უმდიდრეს პრესაში (13 ორგანო, მათ შორის ექვსი ყოველდღიური) სტამბებში, პარტიულ სახლებში (750 სახლი 60 მილ. ფინ. მარკად დაფასებული), კლუბებში (300), არამედ იმ უდიდეს კოოპერატიულ მოძრაობაში, რომელიც პარტიამ შექმნა და რომელიც დღესაც მის გავლენის ქვეშ იმყოფება.

ძნელია იმის თქმაც, ვინ ვის სჭარბობს: პარტია თუ კოოპერაცია. რომ არ გავაგრძელო მოვიყვან ერთ მაგალითს. ჰელსინკში ერთ ერთ კოოპერატივს ყავს ორმოცათასამდე (უმრავლესობა ს. დ.) წევრი. ეს კოოპერატივი ყოველდღიურათ აცხობს 20.000 კილო პურს, მესამედი ქალაქისა იკვებება მისი სანოვაგით და განა მარტო სანოვაგით? მთელი ვაჭრობის და წარმოების მესამედი მის ხელშია. მე მაჩვენეს ჰელსინკის რუქა. ვხედავ, ეს უკანასკნელი ერთიანათ დაუფარავს მასში ჩარჭობილ ქინძისთავების ტყეს, გავიკვირვე, ვერ მივხდი, რაში იყო საქმე. ამხ. ტანერმა (მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე და თავმჯდომარე ამ კოოპერატივისა) თვინიერი ღიმილით განმიმარტა: ხედავთ, როგორ ჩვენი დაწესებულებათა ჩრდილის ქვეშ (ქინძისთავებით იყო აღნიშნული კოოპერატივის დაწესებულებანი) თანდათანობით ქრება და ქრება კერძო, ბურჟუაზიული ალებ-მიცემობა.

მართლადაც რომ მოუსპია მზის სინათლე კერძო ვაჭრობისათვის. მერე როგორ? არა ძალადობით, არა წაგლეჯით, არამედ გაშლილ ბრძოლის ველზე, თანაბარ ჭიდილში, სადაც საზოგადოებრივმა მომენტმა სძლია ინდივიდუალურს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს მარტო ჰელსინკში კი არა, ყველგან: ტომერფორსში (ინდუსტრიალური ცენტრია), აბოში, ვიბორგში, ყველგან, საითაც არ გაიხედავ—სოფლათ თუ ქალაქად.

საერთოდ, მცხოვრებთა ორი მეხუთედი კოოპერატიულ მოძრაობაშია მჭიდროთ ჩაბმული და მთელი ამ ზღვა მოძრაობის მეთაური და სულის ჩამდგმელი სოციალდემოკრატიაა. უადგილობის გამო მე არ შევჩერდები სხვა ტიპის მუშათა ორგანიზაციებზე. აღვნიშნავ მხოლოდ «ფინლიანდიის მუშათა აღმზრდელ ცენტრალურ კავშირს», სადაც შედიან სპორტიული (640 ადგილობრივი ჯგუფი—32,000 წევრი) მუზიკალური, თეატრალური და სხვა ფედერაციები.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ გარდა წმინდა პარტიული ფენებისა, ს. დემოკრატიას ზურგს უმაგრებს ძლიერი ლაშქარი ორგანიზაციულათ შეკავშირებული მშრომელთა მასისა. იგი მისი განუყრელი ნაწილია, ჭირში და ლხინში მის გვერდით მყოფი. ამ გარემოებამ იხსნა პარტია და ერი წარსულში ცარიზმის არა ერთხელ განმეორებულ შეტევებისაგან და ამანვე გადაარჩინა იგი 1918 წელს იმ საშინელ უბედურებაში, რომელიც ბოლშევიკურმა პროვოკაციამ ფინლიანდიას თავზე დაატეხა.

ჩვენ ვლაპარაკობთ სამოქალაქო ომზე. ეს ფაქტი იმდენათ საყურადღებოა ჩვენთვისაც, რომ არ შემიძლია მასზე არ შევჩერდე.

1917 წელს ნოემბერში ფინლიანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საბჭოთა მთავრობამ იგი მყისვე იცნო, მაგრამ ჯარების აქედან გაყვანას არ ჩქარობდა. მიყო ხელი პროპაგანდას და მუშათა ზოგიერთი წრეები ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ წააქეზა. 25 იანვარს 1918 წ. ჰელსინკში სარევოლიუციო მთავრობა გამოცხადდა და სამოქალაქო ომი დაიწყო.

საქმეში გერმანია ჩაერია და გენ. ფონ-დერ გოლცის მეთაურობით ფინლიანდიაში ჯარი გადმოსხა. «რევოლიუციის სიამაყე» ბოლშევიკურმა ჯარმა და მისმა მეთაურებმა სახლში მოკურცხლეს და ფინლიანდიის პროლეტარიატი ვერაგულათ «ჩატიეს მტრის ხელში».

დატრიალდა საშინელი ტრაღედია. მთელი ე. წ. წითელი ჯარი და 80,000 ს. დემოკრატი ტყვეთ ჩაუვარდა «გამარჯვებულ» მტერს. 6.000 მუშა გაუსჯელათ იქნა დახვრეტილი 12,000 დაიღუპა საკონცენტრაციო ბარაკებში შიმშილისაგან. ამდენივე და მეტიც იმსხვერპლა სამხედრო და საველო იუსტიციამ. მოისპო პრესის და და კრების თავისუფლება, დაიშალა პარტიული ორგანიზაციები, გაჩნდა ზომიერების და შეთანხმების მოციქულები და მთელი წლობით დაგროვილ პარტიულ სიმდიდრეს ბურჟუაზია დაეპატრონა... მაგრამ ეს «გამარჯვება» ხომ შინაურ ძალთა შებრძოლების შედეგი არ იყო? გარეშე ძალამ, გერმანიის საოკუპაციო ჯარმა, სისხლიანი ხოჩნით მიართვა ეს საჩუქარი ფინლიანდიის კაპიტალისტებს და ამ ძალის საერთაშორისო ომში დამარცხებასთან ერთად გაქრა ვით შავი აჩრდილი დღის სინათლის წინაშე.

აიბარგა ფონ-დერ-გოლცი, თან გაიყოლია მეფეთ არჩეული გერმანიის პრინცი და რეაქციასაც სული ამოხდა. ცხოველმყოფელი სიო შეიჭრა ნესტიან საკნებში; გაიფანტა სისხლით გაჟღენთილი საზოგადოებრივი ატმოსფერა და გარეშე ძალის მიერ ხელფეხ შებორკილი, მიწაზე განართხული, მძიმეთ დაჭრილი მუშათა კლასი შეინძრა, ჯადოსნური სისწრაფით ფეხზე წამოდგა. უკვე 1918 წ. დეკემბერში ს. დ. შესძლო თითქმის ყველა ორგანიზაციების აღდგენა; 1919 მარტის არჩევნებში კი 80 დეპუტატი (200 დან) სეიმში გაიყვანა; 40 პროც. ამომრჩეველთა ლაშქარისა მას გაყვა!

რა ძალას წარმოადგენს ის დღეს, ჩვენ ეს უკვე ვიცით.—«გადაეცით ჩვენს ამხ. საქართველოში, სთქვა პარტიის ლიდერმა ტანერმა ერთ თავის სიტყვაში, ჩვენი ისტორიის ეს უსაშინელესი ამბავი; დეე, ჩვენმა მაგალითმა ცხადჰყოს ქართველ მებრძოლთათვის, რომ გარედან შემოჭრილი ძალა ვერასოდეს ვერ ამოგლეჯს იმ ღრმა ფესვებს, რომელიც საქართველოს ს. დემ. ერის ცხოვრებაში გაიდგა. ვერავინ ისე ვერ გაიგებს, როგორც ჩვენ, იმ საშინელ ტკივილს, რომელსაც გრძნობს თქვენი ხალხი მის რჩეულ შვილთა დაკარგვით. ჩვენც ხომ 35,000 საუკეთესო მებრძოლი დავკარგეთ! აუწერელია თქვენი ტანჯვა, ძნელზე უძნელესია ბრძოლის პირობები, მაგრამ მომავალი ხომ თქვენია? და ვისაც მომავალი სწამს, ის ყოველივეს გაუძლებს, ყოველისფერს აიტანს»...

მგონი დროა გავათავო. ფინლიანდიაში თითქმის ერთი თვე დავყავი და ერთი დღის შთაბეჭდილება მეორისას არ გავდა; მუდამ ქონდათ ჩემს მეგობრებს ახალი რამ, რაც იპყრობდა ჩემს ყურადღებას და მაძლევდა ახალ საბუთს დამენახა ამ ერის ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტუროსნობა და მისი დემოკრატიის ძლევამოსილება. მართალია, სამოქალაქო ომის ჭრილობები დღესაც არ არის სავსებით შეხორცებული; ბურჟუაზია დღესაც არ არის განიარაღებული და მისი ე. წ. სამოქალაქო გვარდია იარაღის ქვეშ სდგას (რაც უფრო კომუნისტურ დემაგოგიას აძლევს მასალას, ვიდრე რეალურად შეძლებულ კლასთა პრივილეგიებს იცავს), მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ფინლიანდიის დემოკრატია ფართე გზა-შარაზეა გამოსული და არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს მუშათა კლასის ტრიუმფალური წინსვლა...

შთაბეჭდილებებით დატვირთული ესტონიისაკენ გავემგზავრე გემით. მარცხნივ, გვერდით საბჭოთა რუსეთის ნაპირები მოსჩანს. კომუნისტური ექსპერიმენტების საცადი ველი, «მაშვრალთა სამოთხე», ჩვენთვის, ცოდვილთათვის აკრძალული! «სამოთხე», სადაც მშრომელი, შიშველ-ტიტველი, ოცდაოთხი საათი იძულებულია დღიური სარჩო ეძიოს, მათ მაგიერ კი «რჩეულთა ჯგუფი» ფიქრობს და მოქმედობს.

და როგორ შეუძლია ამის ატანა ქართველ ხალხს, რომელიც მუდამ საკუთარ თავზე დანდობილი, საკუთარი ჭკუით მოაზროვნე იყო და არის?

ადრე თუ გვიან ამ ბოროტებას ბოლო მოეღება. ეს ისტორიული აუცილებლობაა.

ადრე, თუ გვიან? არის ნიშნები, რომ არც ისე უნდა დაიგვიანოს. მაგრამ რომც დაიგვიანოს, მოვუცდით.

(დასასრული იქნება)

მვ. შმმმჭვლოი.

---

«ჯ ა ვ შ ნ ო ს ა ნ ი»

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიის სოციალდემოკრატიამ წარსულ აგვისტო-სექტემბერში ერთგვარი კრიზისი გამოიარა, «ჯავშნოსნის» კრიზისი. რაში მდგომარეობდა ის?

ცნობილია რომ ვერსალის ზავის მიერ გერმანია განიარაღებულია. მისი ჯარი და სამხედრო ფლოტი სულ უმნიშვნელო მინიმუმამდეა დაყვანილი. წარსული რაიხსტაგის მემარჯვენე უმრავლესობამ დაადგინა დარჩენილ სამხედრო ფლოტში გაცვეთილი ჯავშნოსანი გემის მაგივრად ახალის აშენება. საამისო უფლებას ვერსალის ზავი იძლევა, მაგრამ გერმანიის მემარცხენე პარტიები და განსაკუთრებით სოციალდემოკრატია მაინც თავიდანვე წინააღმდეგი იყო მისი აშენების. წარსულ არჩევნებში (მაისში) სოც.-დემოკრატიამ ამ კითხვის გარშემო დიდი აგიტაცია გასწია მემარჯვენეთა წინააღმდეგ. დღეს კი ის, როგორც ვიცით, მთავრობაში ზის. და აი, მიუხედავათ ამისა მთავრობის სხდომა 10 აგვისტოს ერთხმად ადგენს ძველი რაიხსტაგის დადგენილების სისრულეში მოყვანას: იწყებენ ჯავშნოსნის აგებას. ამ მოულოდნელმა ამბავმა ელვის სისწრაფით მთელი სოც.-დემ. პარტია და მისი მიმდევრები ფეხზე დააყენა და მთავრობაში შემავალ ამხანაგების წინააღმდეგ აამხედრა. მემარცხენე ბურჟუაზიული (დემოკრატიული) ბანაკიც კი მღელვარებამ შეიპყრო. მართლაც, როგორ მოხდა ეს გასაკვირი ამბავი?

საქმე იმაშია, რომ სოც.-დემოკრატიულ დეპუტატების რიცხვი რეიხსტაგის მთელი შემადგენლობის მხოლოდ ერთ მეოთხედზე ცოტა მეტს უდრის. ამიტომ ის იძულებული იყო მთავრობა შეედგინა კოალიციის საფუძველზე ცენტრთან, დემოკრატებთან და სახალხო პარტიასთან. ამათში მხოლოდ დემოკრატები იყვნენ გადაჭრით წინააღმდეგი ჯავშნოსანის აგებისა. ასე რომ წინანდელი რაიხსტაგის დადგენილების წინააღმდეგ წასვლა ახლად და დიდის გაჭირვებით შემდგარ კოალიციას დაშლით ემუქრებოდა, რაიცა შექმნიდა ძლიერ რთულს მდგომარეობას ქვეყანაში და შეიძლება პარლამენტარიზმის კრიზისიც დამდგარიყო. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლათ სოც.-დემ. მინისტრებმა ამჯობინეს დაეთმოთ ჯავშნოსანის საკითხში, რომელსაც პრაქტიკულად მცირე მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთი ზედმეტი სამხედრო გემი განიარაღებულ გერმანიას მილიტარისტულ სახელმწიფოთ ვერ გადააქცევს. მაგრამ სოც.-დემ. მინისტრებმა ვერ დააფასეს ამ ნაბიჯის პრინციპიალური მხარე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა მიეცა. როცა პარტიაში კრიზისი გაჩაღდა, სოც.-დემ. მინისტრებმა გააკეთეს საგანგებო განცხადება: ჩვენი პრინციპიალური წინააღმდეგობა ამ საკითხში სრულიად არ შეცვლილა, მხოლოდ არსებულ პირობებში იძულებული ვიყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ტაქტიკური მოსაზრებით ასე მოვქცეულიყავითო; მაგრამ ამ განცხადებამ არავინ დააკმაყოფილა. მთელი პარტია აბობოქრდა. თითქმის ყველა ორგანიზაციებმა და მეთაურებმაც გაილაშქრეს მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ და მეტ-ნაკლები სიმკაცრით საყვედური გამოუცხადეს მთავრობაში მყოფ ამხანაგებს.

პარტიული მასსები ისეთმა მღელვარებამ შეიპყრო, რომლის მსგავსი ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში არ ნახულა. ეს იყო საოცრათ ერთსულოვანი მანიფესტაცია გერმანიის შეგნებული პროლეტარიატის ანტიმილიტარისტული სულისკვეთებისა და მისი დემოკრატიული ბუნებისა. რა თქმა უნდა, ამ მღელვარებით სარგებლობა მოინდომეს და პირველ ხანებში ისარგებლეს კიდეც კომუნისტებმა. თითქოს უკეთეს შემთხვევას გერმანიის სოც.-დემ. მასების გადაბირებისა ვერც კი მოიგონებდა მოსკოვი. მორთეს გაათრებული ყიჟინი: «ჰკათ მოღალატეებს! ძირს მილიტარისტული და იმპერიალისტური სოციალდემოკრატიაო».

მაგრამ ბუმბერაზი პარტია სწრაფათ გაიმართა წელში. სადაო საკითხი თვითვე დააყენა მთელი თავისი სიგძე-სიგანით პარტიულ მასების წინაშე და დემოკრატიული წესით გამოხატული მათი ნება მტკიცე პარტიულ გადაწყვეტილებათ აქცია. მინისტრთა მიმართ საყვედური მთელმა პარტიამ ერთსულოვნათ გამოიტანა და დაშვებული კომპრომისი უარყო. რაიხსტაგის სოციალდემოკრატიულ ფრაქციამ, ამ გადაწყვეტილების თანახმად, დაადგინა რაიხსტაგში შეიტანოს წინადადება: «ჯავშნოსნის შენება შეჩერებულ იქნეს». თუ მიიღებს ამ წინადადებას რაიხსტაგი, უნდა გატარდეს ის. ხოლო თუ სახალხო პარტიამ და ცენტრმა ამის გამო მთავრობის კრიზისის შექმნა გაბედეს, საამისო პასუხისმგებლობაც მათზე იქნება და სოციალდემოკრატია მზად არის ხელახალ არჩევნებში გადაეშვას, დარწმუნებული რომ არაფერს წააგებს. უარყოფს ამ წინადადებას რაიხსტაგის უმრავლესობა, არაფერი გაეწყობა: მხოლოდ ერთი ჯავშნოსნისთვის მთავრობის კრიზისის და ხელახალი არჩევნების პასუხისმგებლობას სოციალდემოკრატია არ იკისრებს. მემარცხენე ფრთის (საქსონელების) ასეთი მოთხოვნა უარყოფილი იქნა პარტიის დიდი უმრავლესობის მიერ და სამართლიანადაც. ამის გარდა დაჭერილ იქნა სასწრაფო თადარიგი მთელი სამხედრო და ჯარის საკითხის საფუძვლიანათ დასამუშავებლათ და ახლო მომავლისთვის მოწვეულ პარტიულ ყრილობაზე გადასაჭრელად.

საკითხის ასე მოგვარებასან ერთად პარტიამ ერთსულოვნათ მომართა თავისი საბრძოლველი იარაღი, გაზეთი, და კომუნისტურ მტერს მიუბრუნდა: «თქვენ ვინ-ღა ხართ? თქვენზე მეტი მილიტარისტი და იმპერიალისტი ვინღა უნდა იყოსო!» გაჩაღდა ბრძოლა მკაცრი, შეურიგებელი. გერმანიის სოციალდემოკრატია მთელი თავისი ვეებერთელა საორგანიზაციო აპარატით და პრესით შეუდგა მოსკოვის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის მხილებას, კომუნისტურ სიდუხჭირის მზის სინათლეზედ გამოტანას.

«ჯავშნიანი სოციალისტები» გაჰკიოდენ კომუნისტური მამლაყინწები. «ვნახოთ ვინ არის უფრო «ჯავშნიანიო» უპასუხეს სოციალდემოკრატებმა, და მთელი მოსკოვის ჯარი და ფლოტი, ზარბაზნები და ტანკები, ჯავშნიანი მატარებლები და გემები, მხრჩოლავ გაზების ქარხნები, მთელი საბჭოთა მილიტარიზმის სურათი გადაუშალა გერმანიის მუშას თავის ფურცლებზე პარტიის მრავალ ათეულ ჟურნალ-გაზეთებმა.

«იმპერიალისტები!» ყვიროდენ მოსკოვის აგენტები. «ვნახოთ ვინ არის იმპერიალისტი!» უპასუხეს ჩვენმა ამხანაგებმა და გადმოალაგეს მოსკოვის იმპერიალიზმის «საქმენი საგმირონი». აქ, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ბედი განსაკუთრებულ ყურადღებით იქნა მოგონებული და გერმანელ მუშის წინაშე ხელახლა ნათლად წარმოსდგა დაპყრობილი და განაწამები ქართველი ერი, სისხლში ჩახრჩობილ სოციალისტური რესპუბლიკის ბედი, გაჟლეტილ ამხანაგთა ათასეულების ლანდები. ამავე დროს მთელმა რიგმა სოც. გაზეთებისამ გამოაქვეყნა ვრცელი სიები წამებულ და დასახიჩრებულ ამხანაგებისა: «გერმანელო კომუნისტო მუშებო, დაუკარით ამასაც ტაში, თუ სინიდისი გაგიძლებთო!» კომუნისტები სცდილობდენ თავისებური «პასუხი» ყველაფერზე გაეცათ, მხოლოდ საქართველოზე კი კრინტს ვეღარ სძრავენ ამ ბოლო ხანებში მაინც. წინეთ კიდევ ცოტაოდენ გვწყალობდენ: ხან დიდი ფაფხურით საკამათოდაც კი გვიწვევდენ, მაგრამ მიიღეს თუ არა პასუხი, ისე დადუმდნენ, თითქოს განგებამ სამუდამოთ დაამუნჯაო. თვით სიტყვა «საქართველოს» ხსენებასაც საგანგებოთ გაურბიან. ახსენებენ თფილისს, თუ საჭიროა, ახსენებენ სოხუმს, ახსენებენ კავკასიას, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Georgien-ს («საქართველო») კი ამ საშინელ სიტყვას—არამც და არამც. ალბათ ასე ურჩია თუ უბრძანა მოსკოვმა.

«გერმანიის იმპერიალიზმის მოკავშირენი!» გაიძახოდენ მოსკოვის აგენტები. «ვნახოთ, ვინც არის მისი მოკავშირეებიო»—უპასუხეს მათ და ბერლინელმა ამხ. ფრანც კიუნსტლერმა, სწორედ იმან, ჯავშნოსანის აშენებას რომ გააფთრებით ებრძოდა, საქვეყნოთ გამოამზეურა მოსკოვის მთავრობის საიდუმლო ხელშეკრულებანი გერმანიის ჯარის მემარჯვენე მთავარსარდალ, დღეს გადაყენებულ, ფონ-ზეეკტთან და აგრეთვე გადამდგარ სამხედრო მინისტრ გესლერთან, მათი საერთო ყუმბარებისა, ზარბაზნების და გაზის ქარხნები, მოსკოვის კავშირი და საიდუმლო პლანები გერმანელ ფაშისტებთან საფრანგეთის და პოლონეთის წინაალმდეგ ომის გასაჩაღებლათ.

კომუნისტები მაინც არ დაცხრენ: «გიჩვენებთ თამაშსო!» დაემუქრენ სოციალ-დემოკრატებს და დაიწყეს სარეფერენდუმო კამპანია. «მშრომელ მასების ნებით ავკრძალავთ ჯავშნოსნის შენებას და სოციალდემოკრატიასაც შევარცხვენთო». გააჩაღეს გააფთრებული აგიტაცია, დაატრიალეს მოსკოვის ოქრო.

გერმანიაში რეფერენდუმის გატარება მეტად ძნელი საქმეა. რეფერენდუმის მოხდენის საბოლოოთ გადასაწყვეტად საჭიროა რომ ამომრჩეველთა მეათედმა მაინც მოაწეროს ხელი მის მოთხოვნას, რაც დღეს ოთხ მილიონს და 200 ათას უდრის. ეს მარტო კითხვის დასასმელათ რაიხსტაგში. ხოლო რეფერენდუმის საბოლოო გასამარჯვებლათ საჭიროა ამომრჩეველთა ნახევარი, ე. ი. 21 მილიონი მაინც მივიდეს ყუთებთან. ამდენ ხმის მოგროვება არა თუ მარტო კომუნისტებს, არამედ ყველა მემარცხენეებსაც არ შეუძლიათ, კომუნისტები მაინც გულიანათ შეუდგენ საქმეს. მათ მცირეოდენი ბურჟუაზიულ-რადიკალური პაციფისტებიც მიემხრენ, ცნობილი პროფ. გერლახის მეთაურობით. გაჩაღდა «უდიდესი კამპანია» ვითომ ჯავშნოსნის, ნამდვილათ კი უფრო სოც.-დემოკრატიის წინაალმდეგ მიმართული. სოციალდემოკრატიამ ერთხმად აკრძალა კომუნისტურ «ხალხის დაკითხვაში» მონაწილეობა და მას ბრძოლა გამოუცხადა. კომუნისტები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდენ. მათი რაზმები, სადაც კი წაახელებდენ, დანებით, ჯოხებით და ხშირად რევოლვერებითაც კი ესხმოდენ სოციალ-დემოკრატებს, რომ მასები «მოძრაობაში» მოეყვანათ.

საქმეში ფრიად «ნახარჯი» მოსკოვიც დიდ შედეგს მოელოდა. მაგრამ ამ ვეებერთელა განგაშს ისეთი სასირცხო შედეგი მოყვა, რასაც არავინ მოელოდა: ორმოც მილიონ ამრჩევლებიდან ერთმა მილიონმა და ორასიათასმა მოაწერა ხელი კომუნისტების და მათი ამყოლდამყოლების მოთხოვნას, მაშინ როცა წარსული მაისის არჩევნებში მარტო კომუნისტებმა 3,2 მილიონი ხმა მიიღეს. ერთი სიტყვით კომუნისტებმა თავისი ამომრჩევლების მესამედიც ვერ გამოიყვანეს.

«დავმარცხდით, საშინლად და უსასტიკესად დავმარცხდითო», აცხადებს თავის გაზეთში ცნობილი პაციფისტი გერლახი, რომელიც ამ სარეფერენდუმო კამპანიაში კომუნისტებთან იყო კავშირში. გამოირკვა, რომ კომუნისტები საპნის ბუშტი ყოფილან, სოციალდემოვრატია კი გრანიტიო». და მართლაც, რეფერენდუმმა ცხადჰყო, რომ სოციალდემოკრატია არა მარტო თავისი მილიონი პარტიის წევრი, არამედ თავისი 9 მილიონი ამომრჩეველიც მჭიდროთ შემოკრებილი ჰყოლია, რომ მას უძლიერესი დისციპლინა აკავშირებს; მისი ჯარი ბრძოლისთვის მუდამ მზათ და ვარგისი არის, მაშინ როცა კომუნისტების ჯარი სწორედ მობილიზაციის დროს არსად სჩანს.

სიმართლე უნდა ითქვას, კომუნისტების ასეთ სასირცხო დამარცხებას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. მათაც სწორედ ამ ხანებში თავს დაატყდათ ერთი შინაგანი კრიზისი, რომლისათვისაც მათ დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი. ამ ბოლო ხანებში კომუნისტების თითქმის ყველა ორგანიზაციაში ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა პარტიული ფულის ქურდობა, რაიცა დიდ მღელვარებას იწვევს კომუნისტ მუშებში. ერთი ასეთი ამბავი ჰამბურგშიც მოხდა. აქ პარტიის ერთ სეკრეტარს პარტიის ფულები შეუჭამია; ეს სეკრეტარი გამოტყდა გერმანიის კომუნისტური პარტიის პირველი ბელადის და თავმჯდომარის ტელმანის სიძე. ტელმანმა დიდი ხნიდან იცოდა ეს ამბავი, მარა ხელი დააფარა ქურდს, არ გაამხილა ის ც. კ-ან, ადგილობრივ გაზეთსაც უბრძანა საქმე მიეფუჩეჩებია. მაგრამ ეს ამბავი გავრცელდა პარტიის წევრებში, რომლებმაც ყაყანი მორთეს და მივიდა ცენტრალურ კომიტეტამდისაც. ამ უკანასკნელმა იმდენი გაბედა, რომ ქურდი პარტიიდან გადააყენა, ხოლო მისი ქომაგი ბელადი ყველა პარტიულ თანამდებობიდან. მაგრამ გადაყენებული ტელმანი რკინის კაცია, მან ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რლინს გვერდი აუარა და პირდაპირ მოსკოვს მიაშურა და იქ ნათლია სოსოს [illegible] ლა—ბერლინელი ამხანაგების თავხედობა. რადგან ტელმანი სტალინის კაცია, მისი პოლიტიკის გამტარებელი გერმანიის კომპარტიაში, კომინტერნის აღმასკომს ებრძანა მისი აღდგენა თანამდებობაში. მოხდა საარაკო ამბავი, საგანგებო ბრძანებით ქურდის მფარველი თავის ადგილზე დააბრუნეს, ხოლო გერმანიის ცეკას საყვედური გამოუცხადა! გერმანიის ცეკამ წამსვე ბოდიში მოიხადა და მორჩილება გამოაცხადა. სტალინის მეოხებით ტელმანმა ბევრი მისი მოწინააღმდეგე მეთაურები პარტიიდან გაყარა, ბევრი თანამდებობიდან გადააყენა და ბევრს კიდევ დღესაც დაეძებს სატყეპად. ამ საზღაპრო ამბავმა გერმანიის კომუნისტური პარტია მორალურათ საკუთარი წევრების თვალშიაც მოსპო. ყველგან, საცა დამოუკიდებელი აზროვნობის და სინიდისის ნასახი დარჩენილა, მღელვარება დაიწყო. ზოგი ორგანიზაციები (მაგ. ლაიპციგის, ბრესლავის და სხვა) დღესაც აჯანყებულია, ბევრი საუკეთესო მუშაკები გამოსცილდა კომუნისტურ პარტიას. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა გერმანიის კომპარტია სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ ჯავშნოსნის საკითხის გამო გააფთრებულ აგიტაციას აწარმოებდა. მტერი ვერ უზამდა გერმანელ კომუნისტებს იმ საქმეს, რაც სტალინმა წაჰკიდა.

მუშური მასებისთვის გამოირკვა კომ. პარტიის სრული ზნეობრივ-იდეური სიკოტრე, ამ პარტიაში დამოუკიდებელი ნების და ორგანიზაციული თვითმოქმედების სრული გაქრობა, მისი სრული პოლიტიკურ-ორგანიზაციული დამონავება. რეფერენდუმის კამპანიის მარცხი მოწმობაა ამ პარტიის პრესტიჟის სრული დაცემის მუშათა მასებში. დღეს მთელი ენერგია ამ პარტიისა უნდება შინაურ კინკლაობას, ურთიერთ ცემა-ტყეპას. დადგა საბოლოოთ გახრწნის ხანა. ნახევრად ლეშად ქცეული პოლიტიკური ორგანიზაცია კიდევ შხამს და სიბინძურეს გადმოანთხევს, მაგრამ მისი საუკეთესო ელემენტები ცდილობენ ეს სიბინძურე აიცილონ და მრავლათ გარბიან პარტიიდან.

გერმანიის სოციალდემოკრატიამ კი სწორეთ ზემოთ აღწერილ ბრძოლის ხანაში გამართულ «პროპაგანდის კვირაში» 40 ათასი ახალი პარტიის წევრი შეიძინა.

—ი.

## გერმანელი მუშის შთაბეჭდილებები საბჭოთა სამფლობელოდან.

გერმანელ მუშას, ფრანც ჰაკოშს, მოუვლია საბჭოთა რუსეთი და უბრალო მუშური ენით მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებს ბერლინელ «აბენდ»-ში. ეს არ გახლავთ არც იმ წარჩინებულ «მუშათა დელეგაციის» წევრი, რომელსაც ბოლშევიკები ზეიმითა და ბრახა-ბრუხით ატარებენ ქალაქიდან ქალაქში. არ გახლავთ ის არც სოც.-დემოკრატი, რომელიც წინასწარ ეჭვით ყოფილიყოს შეპყრობილი საბჭოთა «სოციალისტურ აღმშენებლობის» შესახებ. ფრანც ჰაკოში არის ერთი მილიონთაგანი «დაზგის» მუშა, კარგი ხელოსანი, უპარტიო, რომელსაც გერმანელ ბოლშევიკების აწერილობით რუსეთი მართლაც მუშათა სამეფოთ წარმოუდგენია და თავის ცხოვრების მიზნათ დაუსახავს—რაც არ დაუჯდეს, ჩავიდეს აღთქმის ქვეყანაში და მუშურ სამოთხეს ეზიაროს. ჰაკოშს უსინჯავს საგაოეო პასპორტის აღება რუსეთისათვის, მარა უარი უთხრეს. მაშინ გადაუწყვეტია ნებადაურთველ:თ გადაპარულიყო რუსეთში. ერთხელ დაიჭირეს, კაი ხანი ციხეში გაატარებიეს და უკან დააბრუნეს. მარა ჰაკოში ამან არ გასტეხა; ის კვლავ გადაიპარა პოლონეთში და ათასი გაჭირვების, შიმშილის და სიკვდილის საშიშროების მიუხედავათ თავისი აასრულა: როგორც იყო გადავიდა აღთქმის ქვეყანაში. პირველი, რაც იგემა მან აქ იყო კარანტინი, საცა ის ძლივს გადაურჩა შიმშილს, მკბენარს და საბჭოთა ყაზარმულ დისციპლინას. აქედან გაშვებული გერმანელი მიდის ტაგანროგში სამუშაოს საძებნელათ და აქ პირველათ იგებს, თუ რა მფარველობას უწევს მუშებს «პროლეტარული ქვეყანა». მას ათრევენ რ. კ. პ.-ან გეპეუში, გეპეუდან შრომის ბირჟაში, აქედან ისევ გეპეუში და ასე დაუსრულებლივ. ბოლოს შრომის ბირჟა უცხადებს მას, რომ სამუშაოს ვერ მისცემენ, რადგან ტაგანროგში 300.000 უმუშევარიაო; ხოლო გეპეუ—მეორეთ საფუძვლიან გაჩხრეკის, «ანკეტის» მოხდენის და თითების ნიშნების აღების შემდეგ—აფრთხილებს: ოდესის, ვოლინსკის და პოდოლსკის გუბერნიებს არ გაეკაროო.

ასეთი მისი უშედეგო თრევა რუსეთის მრავალ ქალაქ-სოფელში გრძელდება 3 წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიწადი. ჰაკოში საფუძვლიანათ ეცნობა თუ «სოციალურ სახელმწიფოს» წყობილებას არა, ყოველ შემთხვევაში იმ პირობებს, რომელიც ამ წყობილებას მუშებისა და საზოგადოთ ხალხისათვის შეუქმნია. ყველგან გაჭირვება, უმუშევრობა, სიძვირე, არევდარევა, სიბინძურე. ეს ფრიად კვალიფიციური გერმანელი მუშა ვერსად, თვით დონეცის რაიონშიც კი, ვერ შოულობს სამუშაოს თავის ხელობაში, ხოლო იქ, საცა ძლიერ იშვიათად ადგილზე მიიღებენ, ისეთ მცირე ხელფასს აძლევენ, რომ პურის ფულათაც არ ყოფნის. ხოლო ბინას არსად არ აძლევენ, ასე რომ მუდამ ცისქვეშ, ან, თუ მუშაობს, ორთქლმავალზე, მოტორის ნავში, უფრო ხშირად კი რკ. გზის სადგურებზე სძინავს.

ჩვენმა მხნე მოგზაურმა მოიარა დონეცის რაიონი, ყირიმი, კავკასია, ვოლგა, პეტერბურგი და სხვ., მაგრამ ყველგან იმავე გაჭირვებას, სიდუხჭირეს, უმუშევრობას აწყდება. ბოლოს ისევ ყირიმში დავბრუნდი—ამბობს ის «მაგრამ უმუშევრობა იმდენათ ძლიერი იყო, რომ იმ ხელფასთან შედარებით, რაც იქ შემომაძლიეს, გერმანიაში როგორც უმუშევარი უკეთ ვიარსებებდი, ვინემ იქ ასეთი დაბალი ხელფასით»-ო.

«დონეცის სამრეწველო რაიონის სიბინძურეს არ იქნა ვერ შევეჩვიე და სულ იმაზე ვფიქრობდი—რამდენათ განირჩევა მისგან რეინის და რურის რაიონებიო». «დონეცში თუ ფულის შოვნა გინდა ყოველ საღამოს ზედმეტათ უნდა იმუშაოო».

ჰაკოს ხშირად უხდებოდა სოფელ-სოფელ ფეხით სიარული და გლეხების სამოწყალოთ ყოფნა. ამიტომ რუსული ენა ჩქარა ვისწავლეო, და «მე უნდა ვთქვა, რომ რუსის შეუძლო გლეხთა შორის ერთიც არ მინახავს, რომელიც კმაყოფილი იყოს საბჭოთა მთავრობით ან რეჟიმითო». თვით არტელებში მომუშავე მუშებიც კი მეუბნებოდენ—ძველი მემამულეების დროს გაცილებით უკეთ ვცხოვრობდით, უწინარეს ყოვლისა გაცილებით მეტს და უკეთ ვჭამდითო.

ერთ მშვენიერ დღეს ჰაკოში გადასწყვეტს—საკმარისათ დავსტკბი «პროლეტარული ქვეყნის» მშვენიერებით და სჯობს ისევ კაპიტალისტურ გერმანიას დავუბრუნდეო. მაგრამ აქ მას გადაეღობა «გეპეუ»: არაფრის გულისთვის არც ყირიმის, არც ბათუმის, არც მოსკოვის და არც პეტერბურგის გეპეუმ არ მისცა მას სამშობლოში დაბრუნების საშუალება. და როცა ჰაკოში გაჟინიანდა, მას ჩვეულებრივი ხრიკი მოსდევს—უცხოეთის აგენტი ხარო და სარდაფში მიაბძანეს. აქ მან შეისრულა «მუშური რეჟიმის» სავსებით შესწავლა: სიცივე, ულოგინობა, სიბინძურე, ვირთხები, მკბენარი, ყოველ ნაბიჯზე ადამიანის ღირსების დამცირება, ტუსაღების ცემა და წამება დაკითხვის დროს,—ერთის სიტყვით ჩვენი გერმანელი მიუდგომელი მოწმე სავსებით ადასტურებს იმ სურათს ბოლშევიკურ საპყრობილესას, რომელსაც მკითხველი საკმაოთ იცნობს.

როგორც იყო, ჰაკომმა თავი დააღწია გეპეუს და დიდის გაჭირვებით რუსეთიდან გამოიქცა. მისი საერთო შთაბეჭდილება გადმოცემულია შემდეგ მის სიტყვებში: «შეიძლება ლაპარაკი პროლეტარიატის ბატონობაზე რუსეთში? ორი წლის განმავლობაში საკმაოთ მივიარ-მოვიარე რუსეთი. მუდამ კომუნისტებთან მიხდებოდა ყოფნა და მრავალი უსამართლობა ვნახე. არასოდეს არ გამიგონია რომ თვით ხალხის წრეებში ვინმეს ახალი რეჟიმით კმაყოფილება გამოეთქვას»...

## ევროპის სოციალისტები და ტერორი საქართველოში.

ბრიუსელში ჩვენმა დელეგაციამ გააკეთა ეკზეკუტივთან არსებულ «პოლიტიკურ პატიმართა კომისიის» სხდომაზე ვრცელი მოხსენება ტერორზე საქართველოში, ჩეკის რეჟიმზე, წამების სისტემაზე, გადასახლებულთა ბედზე. ეს მოხსენება, დაბეჭდილი, დაურიგდა კონგრესზე დამსწრე პარტიების წარმომადგენლებს და მან გამოხმაურება ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურ პრესაში. კერძოთ, პარიზელ «პოპიულერში» ამხ. ემილ კანმა ხუთი პატარა წერილი უძღვნა ქართველ ტყვეების მდგომარეობას. ამასთანავე კანმა ისარგებლა აგრეთვე ბრიუსელში პარტიებისათვის დარიგებულ რეზოლიუციით ტაქტიკურ საკითხზე, რომელიც ჩვენმა საზღვარგარეთელმა ბიურომ მიიღო გასულ თებერვალში (იხ. ეს რეზოლიუცია ამავე ნომერში); კანმა მოიყვანა ამ რეზოლიუციის შესავალი ჩვენი ტაქტიკის დასახასიათებლათ.

საქართველოდან მიღებულ ცნობებს ჩვენი ტუსაღების მდგომარეობის შესახებ გამოეხმაურა აგრეთვე შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების პრესა.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის სოც. პარტიის ქუენვილის, ბონეის, არეტეილის და სენმორის (სენის ფედერაცია) ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე, გასულ ივლისში, ამხ. ინა ჟორდანიამ გააკეთა ვრცელი მოხსენება რუსულ ბოლშევიზმზე, რომელშიც დაწვრილებით ასწერა ტერორი რუსეთში და საქართველოში. კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: «ქუენვალის, ბონეთლის, კრეტეილის და სენმორის სექციების გაერთიანებულმა სხდომამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ი. ჟორდანიასი, რომელმაც დახატა ცხოველი სურათი იმ ძალადობათა, რომელსაც საბჭოთა საპყრობილეებში და გადასახლების ადგილებში აყენებენ ჩვენს ამხანაგებს, რუსეთის და საქართველოს სოციალ-დემოკრატებს, დაადგინა სთხოვოს სენის ფედერაციას, რომ მან მიიღოს ზომები, რათა საყოველთაოთ გამოქვეყნებულ იქნას მომხსენებელის მიერ მოყვანილი გარკვეული ფაქტები და ცნობები; ამასთანავე კრება ძმურს სალამს უძღვნის ჩაგრულ ამხანაგებს და მოუწოდებს მათ განმტკიცდენ სოციალისტურ რწმენაში, რომლის გამარჯვება მოახლოვებულია».

## გრუზჩეკა—სოლოვკა—პარიზი.

(ერი ამხანაგის თავგადასავალი)

ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ მოკლეთ თავგადასავალი ერთერთ ჩვენი ამხანაგისა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ საბჭოთა ჯოჯოხეთიდან სამშვიდობოს გამოსულა.

საბჭოთა საქართველოს ქვეშევრდომისთვის და ისიც სოციალდემოკრატიისთვის—ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, არაჩვეულებრივია მხოლოდ ბოლო: ტუსაღის მიერ ბოლშევიკურ კატორღიდან გაქცევა.

ამხ. ს. —ძე გურული გლეხია, ძველი პარტიული მუშაკი, სოც. დ-იულ ორგანიზაციის წევრი 1906 წლიდან. ციხე მან პირველად იგემა ძველი რეჟიმის დროს, ჯერ კიდევ ამ 18 წლის წინ.

საბჭოთა ციხე-ჩეკაში. მაგრამ მისი ნამდვილი მარტიროლოგი იწყება ჩვენს ქვეყანაში მოსკოვის ჯარების შემოჭრის დროიდან. 1921 წელს ის ორჯერ იყო დაჭერილი. რამდენიმე თვის არალეგალურათ ცხოვრების შემდეგ მას კვლავ აპატიმრებენ 1922 წლის აგვისტოში. ერთი ხნის შემდეგ კვლავ ანთავისუფლებენ და 1923 წლის გაზაფხულზე (ობოლაძის ხანა) ისევ იჭერენ და თფილისში გზავნიან. აქ 4 თვის ტყვეობის შემდეგ ანთავისუფლებენ «ხელის მოწერით». აჯანყების დღეებში ამხ. ს. ავათ ყოფილა, მწოლიარე. მიუხედავათ ამისა მას აპატიმრებენ—«კარგად რომ ყოფილიყავი, ხომ მიიღებდი მონაწილეობასო!» რამოდენიმე კვირა ისევ ჩეკაში. განთავისუფლებული ს. არჩევს—სჯობს გავეცალო სამშობლოს, რომ ამ დაუსრულებელ ჭერას ერთი ხნით მაინც გადავრჩეო და ბაქოში მიემგზავრება. 1925 წლის ივნისში ბრუნდება გურიაში. მაგრამ, ისიც იყო ჩამოვიდა სამშობლო სოფელში, რომ სტაცეს ხელი და ჩეკაში წააჩანჩალეს. საბუთი? ბრალდება? რამდენიც გინდათ: 1. ბაქოში კი არ ყოფილხარ, არალეგალურათ სცხოვრობდიო; 2. 1922 წლის (!) მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდიო; 3. ხელი მოგვიწერე და «ინფორმაციას» არ გვაწვდიდიო. 3 თვე გაატარა ტუსაღმა ოზურგეთის ჩეკაში, საიდანაც გადაიყვანეს თფილისში. აქ «გრუზჩეკაში» და მეტეხში დაჰყო მთელი წელიწადი. გრუზჩეკაში «საგანგებო» საკანიც აგემებიეს მე-9 და მე-33. უკანასკნელში სრული სიბნელეა, დღის სინათლე არსაიდან სწვდება, ელექტრონს კი არ გინთებენ არც დღისით და არც ღამით; ნოტიოსაგან მუდამ წყალი დგას, ასანთს არ ეკიდება; საწოლი ან ლოგინი არავითარი, სამაგიეროთ თაგვები და მკბენარი უთვალავი... როცა დარწმუნდენ, რომ ჩეკის რეჟიმი სასურველ «შედეგს» არ იძლეოდა, ტუსაღი გადაიყვანეს მეტეხში. აქ მის ტყვეობას ბოლო არ უჩანდა და 1926 წლის ივლისში ს. —ძემ შიმშილობა გამოაცხადა მისი საქმის საჩქაროთ დასრულების მოთხოვნით. მე-11 დღეს დასუსტებულს, ციხის საავათმყოფოში მწოლიარე ტუსაღს ატყობინებს ადმინისტრაცია, რომ მისი საქმე მოსკოვს გადაეცა და რეზოლიუციაც აღარ დააყოვნებსო. ამხანაგების დაჟინებით ს. სწყვეტს შიმშილობას.

თეთრი ზღვისკენ. როგორც იყო ელირსა ენკენისთვეში... ეტაპით გადაგზავნა მოსკოვში, საცა მას თეთრი ზღვის ნაპირი მიუსაჯეს და გაისტუმრეს კიდეც ლენინგრადის გზით. თეთრი ზღვის კუნძულებზე თუ ნაპირებზე იძულებითი სამუშაოზე გადასახლებულ ტუსაღების გამანაწილებელი პუნქტია პატარა ქალაქი კემი (თეთრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე), საიდანაც ჩვენი ს. გაისტუმრეს პეტროზავოდსკის მახლობელ ტყეში სამუშაოთ.

**ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი  კ ა ტ ო რ ღ ა.** სამუშაო მდგომარეობს ტყის ჭრაში. ზაფხულში მუშაობა არ სწარმოებს, რადგან გამდნარ თოვლყინვისაგან ტყეში გაუვალი წყალი დგას. ამუშავებენ კატორღელებს ზამთარში 20-30 გრადუსიან ყინვაში, საგანგებო ხელთათმანებით. შორეულ ჩრდილოეთში ზამთრის დღე ძლიერ მოკლეა, იმ ადგილებში 4 საათს უდრის, ხოლო ტუსაღებს ხშირად 10 და 12 საათიც უწევთ მუშაობა, ესე რომ მომეტებულათ ღამე უხდებათ მუშაობა. არის დაწესებული გაკვეთილები, რომლის მიხედვით იძლევიან საჭმელს. მაგრამ სამუშაო იმდენათ მძიმეა, რომ იშვიათი კაცმა ნორმათ დადებული შეშის რაოდენობა დაამზადოს; დიდ უმრავლესობას მომუშავეებისას უწევს დღეში 1 ნახ. გირ. ცუდი პური, მყრალი თევზის წვენი და კვირაში ერთხელ ცხენის ხორცი. უდიდეს ნაწილს ტუსაღებისას კვირა დღესაც ამუშავებენ. ზედამხედველები—ე. წ. «ნადზორი»—არიან სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დასჯილი ჩეკისტები, რომლებიც გაცილებით უფრო მხეცურათ ეპყრობიან კატორღელებს, ვინემ ჩვეულებრივი ჩეკისტები ჩეკის ტუსაღებს. «ნადზორს», რომელსაც კატორღელი გაექცევა, სასჯელის ვადას უგრძელებენ 4 თვით, ხოლო თუ მან მოჰკლა გაქცეული ტუსაღი, უმოკლებენ სასჯელს 2 თვით. ერთის სიტყვით, იმდენათ აუტანელ პირობებში არიან კატორღელები, რომ ხშირია თავის ჩამოხრჩობა; უფრო ხშირად კიდევ აუტანელ შრომისაგან სასოწარკვეთილი კატორღელი ნაჯახით განზრახ გადაიჭრის ოთხივე თითს მარჯვენა ხელზე, რომ მუშაობისგან თავი გადაირჩინოს. ასეთ თითებ წაჭრილ ტუსაღებს ბევრს შეხვდები სოლოვკაზეც...

**პ ი რ ვ ე ლ ი  ც დ ა  გ ა ქ ც ე ვ ი ს ა.** ამხ. ს.—ძეს მისვლისთანავე გადაუწყვეტია ამ ჯოჯოხეთიდან გაქცევა და ცოტაოდენი ფულიც ჰქონია თან. რომ საშიშარ გზისთვის მომზადებულიყო, შეუძენია «ვალენკი», ბამბის შარვლები, ქურქი, თბილი ქუდი და სხვ. წინასწარ გაუკითხავს და შეუსწავლია გზა ტყით რკინის გზის ლიანდაგზე გადასასვლელათ და ერთ დილით, «პროვერკის» შემდეგ, უკრავს თავი ტყეში. პირველი დღის მთავარი ამოცანა იყო საღამოს «პროვერკამდე», როცა მისი გაქცევა გამოირკვეოდა, რაც შეიძლება მეტი გზა გაევლო, რომ მისი კვალი დაკარგულიყო. ღამის საათის 5-ზე მიუღწევია მურმანის რკინისგზამდე (სადგ. სეგეჟ). ეჭვი არ იყო, მისი გაქცევის ამბავი უკვე მთელს ხაზზე ეცოდინებოდათ; ამიტომ სადგურს უნდა მორიდებოდა. სწორედ აქ უმტყუნა ბედმა გაქცეულს. როცა ის სადგურს გვერდს უვლიდა, ფეხქვეშ ყინული ჩაემტვრა და ყელამდე წყალში ჩავარდა. როგორც სჩანს, ის იმ ადგილს მოხვდა, საცა რამოდენიმე დღის წინათ მუშებს ყინვა გაეჭრათ წყალის ამოსაღებათ, ხოლო მას შემდეგ ამ გაჭრილ ადგილს ყინვის თხელი ფენა მოსდებოდა, რომელმაც სხეულის სიმძიმეს ვერ გაუძლო.

როგორც იყო წყალს თავი დააღწია ჩვენმა უბედო გაქცეულმა, მარა ვაი ასეთ თავის დაღწევას: 30 გრადუსიან სიცივეში მთელი ტანთსაცმელი ერთბაშათ ყინულათ იქცა. ერთად ერთი საშუალება სხვის დაუხმარებლათ თავის გადარჩენის იყო ტყეში შესვლა. იქ ცეცხლის დანთება და ზედ ტანთსაცმელის გალხობა. მაგრამ წინასწარ მომარაგებული სანთელი და წუმწუმა ხომ სახმარათ აღარვარგოდა. ამიტომ უეჭველ და სატანჯველ სიკვდილისაგან თავის დასაღწევათ გამოქცეული იძულებული გახდა სადგურზე გასულიყო წუმწუმის საძებნელად. აქ ის შეეჩეხა წითელარმიელებს, რომლებიც უკვე გაფრთხილებული იყვნენ. ს. დააკავეს. ცეცხლთან გალხობის შემდეგ ის დააბრუნეს საიდანაც გამოიქცა. რაღაც სასწაულით ს. გადარჩა ასეთ შემთხვევებში წესათ შემოღებულ დახვრეტას.

**კ ე მ - ს ო ლ ო ვ კ ი ს  ც ი ხ ე.** გაქცევისათვის მას მხოლოდ 1 წლის ციხე მიუსაჯეს სოლოვეცის კუნძულზე; და ვინაიდან ნავიგაცია უკვე შეწყვეტილი იყო, დროებით მოათავსეს კემთან ახლო, პოპოვის კუნძულის ციხეში. ჩვეულებრივი რეჟიმი რა არის კემ-სოლოვკაში და მერე იქაური ციხე რაღა უნდა იყოს! კემის ციხე ისეთი ნოტიოა, რომ ადმინისტრაცია იძულებულია დღეში ორჯერ საქაჩავით ამოაღებიოს წყალი; სიცივე და სიბინძურე აუტანელია; რეჟიმის მხრით ჩეკის წესებიც კი სანატრელია. ნავიგაციის გახსნისას, მაისში, გადაიყვანეს სოლოვკაში «სეკირკის» ცნობილ იზოლიატორში. საკანში დამწყვდევამდე ტუსაღს ჩამოართმევენ ტანთსაცმელს, გარდა თეთრეულისა; ლოგინზე ან თუნდაც საკუთარ საბანზე ხომ ოცნებაც მეტია: მხოლოდ ღამისთვის მოგცემენ პალტოს ან პიჯაკს, თუ ასეთი გაქვს. კამერაში საშინელი სიცივეა, აუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანელი სიბინძურე, სხვადასხვა გადამდები ავათმყოფობა მუსრს ავლებს ტუსაღებს. საჭმელი: აყროლებული ტარანის სუპი და სამიმეოთხედი გირვანქა პური დღეში. ჩვენი პატიმარი მოათავსეს დიდ საკანში, საცა 160 კაცს ატევენ. ერთმანეთში ლაპარაკი აკრძალული აქვთ ტუსაღებს, ამ აკრძალვის დამრღვევს აგდებენ ბნელ და დახუთულ კარცერში. კამერაში მორიგეობს წითელარმიელი, რომელსაც კონტროლს უწევს «ნადზორის»—ჩეკისტი. ასეთ პირობებში ს—მ გაატარა 6 თვემდე, რის შემდეგ «ვადამდე გაანთავისუფლეს»—პირობით.

ს ო ლ ო ვ კ ა. სოლოვკის რეჟიმს ჩვენი მკითხველი იცნობს «ბრძოლაში» გასულ ზამთარში მოთავსებულ წერილებიდან. ს—ს მოთხრობით, ცოტათ თუ ბევრათ ასატან პირობებში ცხოვრობდენ ქართველები იმ მართლაც რომ გმირული ბრძოლის წყალობით, რომელიც მათ 1925-ში და 26-ში გასწიეს. მათ ჰქონდათ მიჩნეული ცალკე ყაზარმა, საცა შესაძლებელი იყო ცოტათ თუ ბევრათ სისუფთავის დაცვა, აუტანელ ფიზიკურ სამუშაოს მაგივრად ისინი შედარებით მსუბუქ—მომეტებულათ კანტორის სამუშაოზე გადიოდენ; აგრეთვე შემსუბუქებული იყო მათ მიმართ ადამიანის ღირსების დამამცირებელი «გამასწორებელ რაზმის» სამხედრო დისციპლინა. პირობების ეს შემსუბუქება მოპოებული იყო ორი შიმშილობის საშვალებით; უკანასკნელათ, 1926-ში, გაფიცულები 4 ჯგუფათ დაჰყვეს და ერთმანეთს დააშორეს. ამათგან 1-მა ჯგუფმა იშიმშილა 10 დღეს, ორმა—12 დღეს, მეოთხემ კი—21 დღეს, რასაც ორი ქართველი შეეწირა: კირაკოზაშვილი (ნ. დ.) გარდაიცვალა თვით შიმშილობის დროს, ხოლო გოლა სულაშვილს (ს.-დ.) ჭლექი გაუჩნდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა სოლოვკაშივე.

ჩვენ არ გვგონია, რომ სადმე, რომელიმე სხვა ქვეყნის კატორღაში არსებობდეს ისეთი ბარბაროსული რეჟიმი, როგორიც ბოლშევიკური კატორღაშია: სოლოვკაში, თეთრი ზღვის სხვა ადგილებში თუ ციმბირში. სოლოვკაზე მყოფ ათეულ ათასს ტუსაღებისათვის საექიმო დახმარებაც კი არ არის მოწყობილი. ექიმების როლი აქვთ ბერებს, რომელთ განკარგულებაში აფთიაქიც კი არ არის და ხშირად სრულიად უბრალო წამალს ვერ აწვდიან ავათმყოფს. არსებობს კუნძულზე ერთი ყაზარმა, რომელსაც შეიძლება სასაკლაო ვუწოდოთ: აქ თავს უყრიან ჭლექით, ათაშანგით და სხვა უკურნებელი სენით დაავათმყოფებულებს, აქვე ათავსებენ პროსტიტუტკებს, მუშაობის უნარს მოკლებულ ტუსაღებს... სწორედ აქ აძლევენ ყველაზე უვარგის საჭმელს, მოპყრობაც განსაკუთრებით ბარბაროსულია; ერთი სიტყვით, ადმინისტრაცია განზრახ ყველაფრით ხელს უწყობს, რომ სასიკვდილოთ განწირულნი რაც შეიძლება სწრაფათ გამოასალმონ წუთისოფელს. და მართლაც ეს საცოდავები ბუზებივით წყდებიან; ცნობილია, რომ ზამთარში ყინვის გამო სოლოვკაზე მიცვალებულებს არ ასაფლავებენ, არამედ წინასწარ გაჭრილ ვეებერთელა ორმოში ჰყრიან, რომ გაზაფხულზე მიწა გადააყარონ. ხოლო ზევით აწერილ ყაზარმისთვის არც ეს ორმო არსებობს; ასეულ მიცვალებულების ლეშებს მახლობელ მინდორში ყვავყორანი დასჩხავის და კორტნის...

ს ა მ შ ვ ი დ ო ბ ო ს ა კ ე ნ. 1927 წ. შემოდგომაზე, საბჭოების ათი წლის იუბილეს გამო გამოცხადებული «ამნისტია» ვითომ სოლოვკასაც შეეხო. ოქტომბერში ჩამოვიდა მოსკოვიდან გეპეუს კომისია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თვითეულ ტუსაღის ბედი. «ამნისტიის» ძალით კატორღელებს უნდა შემოკლებოდათ სასჯელი ერთი მესამედით. მაგრამ ეს რომ მართლაც გაეტარებიათ, პოლიტიკური და კერძოთ ქართველი ტუსაღების დიდი უმრავლესობა სავსებით უნდა გაენთავისუფლებიათ. ეს კი გეპეუს პლანებში არ შედიოდა და მანაც «ოინს» მიმართა. «ამნისტიის» გატარებამდე გადაარჩიეს პოლიტიკური ტუსაღები და გადასახლება ისევ 3 წლით განუახლეს, მხოლოდ სოლოვკის მაგიერ დაუწესეს ციმბირში გადაყვანა ისევ კატორღელის რეჟიმზე, მაშინ როდესაც ასეთსავე მდგომარეობაში მყოფ სისხლის სამართლის ტუსაღებს ანთავისუფლებდენ. ამგვარათ «ამნისტიამ» ფაქტიურათ 2 წლით გაუგრძელა პოლიტიკურებს გადასახლების ვადა. ამ კატეგორიაში მოხდა ჩვენი ს. —ძე, ამხ. ავთონ წულაძე და სხვა ქართველები. ნოემბრის დამლევს ციმბირში გასაგზავნი ტუსაღები კემში გადაიყვანეს. აქ დიდი არევდარევა სუფევდა, აუარებელი ტუსაღები იყო თავმოყრილი: ზოგს ანთავისუფლებდენ, ზოგს ციმბირისკენ გზავნიდენ და სხვ. ამ არეულობით ისარგებლა ჩვენმა ს. —ძემ და ისევ სცადა ბედი, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო ლმობიერი გამოდგა. ჩვენი გამოქცეულის თავგადასავალი კემიდან საფრანგეთამდე ძლიერ საინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის, მაგრამ, გასაგები მოსაზრებებით, ჩვენ იძულებული ვართ აქ შევწყვიტოთ მოთხრობა...

ჭერალდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი.

საქართველოდან უკანასკნელათ მიღებულ ცნობებით სანოვაგის ის მწვავე კრიზისი, რომელიც მთელს საბჭოთა კავშირს დაატყდა თავს ამ ბოლო დროს, განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს ჩვენს ქვეყანაში: ყველაფერი გაცილებით უფრო ძვირია ჩვენში, ვინემ საბჭოთა სამფლობელოს სხვა რომელიმე კუთხეში. ასე სოფლათ, ასევე ქალაქებში. ამ შემოდგომის დამდეგს ფუთი სიმინდი გურიაში 9 მანეთამდე ასულა! ქალაქში გირვანქა შავი პური ღირს 20 კაპეიკი, კვერცხი თითო—8 კაპ., გირვანქა კარაქი—190 კაპ. და ასე (პარიზის ფასებს რომ შევადაროთ, შავი პური და კარაქი ტფილისში დაახლოვებით 4-ჯერ უფრო ძვირი ყოფილა, ვინემ საფრანგეთის დედა ქალაქში!). ამას ზედ ერთვის სხვა საქონლის სიძვირე და სიიშვიათეც. ზოგი რამ სრულიად არ იშოვნება და თუ არის—ისეთ ფასებში, რომ უბრალო მომაკვდავს ხელი არ მიუწვდება.

## მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალში.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ პარტიის მეოთხე ყრილობის რეზოლიუციების უცხოეთში გასატარებლათ და პირველ ყოვლისა ინტერნაციონალში მუშაობის საწარმოებლათ 3 მაისის 1928 წლის სხდომაზე მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აქ მოგვყავს სავსებით.

1. საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტია, ელტვის რა სოციალისტური წყობილების დამყარებას, თავის უახლოეს მიზნათ მიმდინარე მომენტში ისახავს საქართველოს სუვერენობის აღდგენას და დემოკრატიის გაბატონებას.

2. ამ მიზნის განხორციელებას პარტია უკავშირებს არა რაიმე შემთხვევით მოვლენას, არა იმპერიალისტურ კონფლიქტებს და სახელმწიფოთა შეჯახებას, არამედ აუცილებელ, გარდაუვალ ისტორიულ მოვლენას—საბჭოთა წყობილების დამაგრების შეუძლებლობას, მისი შინაგანი წინააღმდეგობით და უკურნებლათ დასენიანებით.

3. საბჭოთა ამ აუცილებელი ლიკვიდაციის მოხდენა დემოკრატიის მეთაურობით და მისი დროშის ქვეშ ფართე მასების მიერ ბრძოლით წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას რუსეთში დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად და ჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლათ. ამ დიადი რევოლიუციის გასატარებლათ მებრძოლი დემოკრატია მოვალეა ისარგებლოს ყველა იმ საშვალებით, რასაც დრო და გარემოება მოიტანს და რაც ეთანხმება ჩვენს პრინციპებს.

4. ნაციონალურ სფეროში პარტია, მოითხოვს რა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას, მხარს უჭერს სხვა ჩაგრულ ერთათვის თვითგამორკვევის უფლების მოპოებას.

5. თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკულად გატარება ნიშნავს შექმნას შესაძლებლობის თავისუფლათ, დემოკრატიული გზით გამომჟღავნდეს ერის სურვილი შესახებ მისი პოლიტიკური არსებობისა და საერთაშორისო ურთიერთობისა.

თვითეული პოლიტიკური პარტია თავისუფალია ერს ურჩიოს ამ ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიც მას სასურველად მიაჩნია, არის ეს დამოუკიდებლობა, ფედერაცია, კონფედერაცია, თუ სხვა—იმ მიუცილებელი პირობით კი, რომ თვითგამორკვევის განსახორციელებლათ ყოველნაირი ძალდატანება უკუგდებული იქნას.

6. ქართველი ერის ასეთი თვითგამორკვევა მოხდა 1919 წ. საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო თავისუფალი კენჭის ყრით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, რომლის ორგანომ, დამფუძნებელმა კრებამ, ერთხმათ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ერთად-ერთ მოწინააღმდეგე პარტიას, ბოლშევიკებისას, არ მიუღია არცერთი მანდატი.

7. საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაცია და მასში შემავალ ერების მოწყობა თავისუფლების და თვითგამორკვევის საფუძველზე, მთავარი საშვალებაა მშვიდობიანობის დასაცავათ აღმოსავლეთ ევროპაში და ომის საშიშროების თავიდან ასაცილებლათ. თუ ამ პოლიტიკამ არ გაიმარჯვა, მოსალოდნელია საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა შორის სტიქიური შეხეთქება და მათი განთავისუფლების იმედის ომთან და საგარეო ინტერვენციასთან დაკავშირება. ასეთი განვითარება მოასწავებს ჩაგრულ ერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბში ნაციონალისტურ სულისკვეთების გაძლიერებას, ხოლო დემოკრატიისა და სოციალიზმის დაძაბუნებას, რაც ჩაგრულ ერს დიდ საშიშროებას უქადის.

ამიტომ საქართველოს სოც.-დემოკრატიის მთელი ძალები მიმართულია ასეთი პოლიტიკის გასამარჯვებლათ—ერთა შორის ურთიერთობის ნებაყოფლობით მოსაგვარებლათ და ხალხისთვის მეორე გზის საშიშროების ასახსნელათ.

8. პარტიის მუშაობა სოც. ინტერნაციონალში უნდა მიიმართოს იქითქენ, რომ გაუთვალისწინოს მას არსებული მდგომარეობა, რათა ინტერნაციონალმა მეტი აქტიური მოქმედება გამოიჩინოს ამ საკითხის მოსაგვარებლათ, თანახმად ზემოაღნიშნულ პრინციპებისა.

9. ასეთი პოლიტიკის თაოსნობა და მისთვის ბრძოლა პირველყოვლისა უნდა იტვირთონ ამ საქმეში პირდაპირ დაინტერესებულმა—საბჭოთა კავშირის და ლიმიტროფების სოც. პარტიებმა, რისთვისაც სასურველია დასახელებულ პარტიების ამ ნიადაგზე შეთანხმება.

10. ბოლშევიკური მსოფლმხედველობა, წარმოადგენს რა დესპოტიზმის იდეოლოგიის ერთ შტოს, ძირიანათ ეწინააღმდეგება სოციალიზმის ყველა სასიცოცხლო საფუძველს. პირველის პოლიტიკური პრინციპია—ძალადობა, ხოლო პოლიტიკური რეჟიმი—ტირანია; მეორის პოლიტიკური პრინციპია—თავისუფლება, ხოლო რეჟიმი—დემოკრატია. პარტია, გამოდის რა ამ გარდაუვალ წინააღმდეგობიდან ორ მოძღვრებას შორის, კატეგორიულად უარყოფს როგორც ერთ ფრონტს რაიმე სფეროში ბოლშევიკებთან, აგრეთვე რაიმე დახმარებით მათი რეჟიმის გამაგრებას საბჭოთა კავშირში.

## როგორ დაიღუპა ამხანაგი სამუელ აბაშიძე.

რედაქციისაგან: ერთ-ერთ მოძმე სოციალისტური პარტიის წევრ-ქალისაგან, რომელიც 1927 წელში გადასახლებული ყოფილა ციმბირში პოლიტიკურ საქმის გამო და შემდეგ თავი დაუღწევია იქიდან, ჩვენ მივიღეთ შემდეგი ცნობა:

ვიყავი მოწამე ძალადობის და რეპრესიისა, რომლის მსხვერპლი გახდა ერთი პოლიტიკური გადასახლებული, სამუელ თეოფილეს ძე, აბაშიძე, ის იყო ქართველი სოც. დემოკრატი, გადასახლებულ იქნა ტობოლსკის ოლქში 3 წლის ვადით; იყო გლეხის ოჯახის შვილი, ქუთაისის გუბერნიიდან. ერთ დროს მუშაობდა მაღაროებში, უკანასკნელ დროს სწავლობდა თფილისის პოლიტეხნიკუმში. დაჭერილ იქნა თავის ბინაზე ქუთაისში, საცა გაატარა ციხეში ერთი თვე, შემდეგ გადაიყვანეს ტფილისში. წაუყენეს ბრალდება—კავშირი უცხოეთთან და არალეგალურ ლიტერატურის გავრცელება და მოსთხოვეს გამოტეხილიყო. მან უარჰყო ბრალდება, რისთვისაც დაამწყვდიეს 13 დღით «კარცერში», რომელსაც აქვს შკაფის ფორმა ცემენტის იატაკით; «შკაფში» დაწოლა ან დაჯდომა შეუძლებელია, იძულებული ხარ მუდამ ფეხზე იდგე. საჭმელს არ აძლევდენ. მშობლების შეკითხვაზე, სად იმყოფებოდა აბაშიძე—პასუხს არ იძლეოდენ; იჭვი ჰქონდათ მშობლებს, რომ ის საიდუმლოთ დახვრიტეს, მაგრამ აი რა აღმოჩნდა: როცა ტუსაღი აბაშიძე სიკვდილის პირზე მივიდა, ის გადაიყვანეს საერთო კამერაში, საცა ცოტად თუ ბევრათ მოჯობინდა. მაგრამ ციხემ და «კარცერმა» თავისი კვალი დააჩინეს აბაშიძის ჯანმრთელობას.

ტობოლსკში მოიყვანეს 1927 წლის ზამთარში, დიდი სიცივეები იდგა; აქ აბაშიძე თავიდანვე ცუდათ გახდა და ლოგინათ ჩავარდა. გამოირკვა, რომ ის დასნეულებული იყო ჭლექით და ქრონიკული მალარიით. სნეულება სწრაფად ეკიდებოდა გადასახლებულს; ექიმებმა აუცილებლათ აღიარეს ჰავის გამოცვლა, ავადმყოფის გადაყვანა გადასახლების სამხრეთ ადგილებში. აბაშიძემ დაიწყო შუამდგომლობა გაენთავისუფლებიათ ან გადაეყვანათ სხვა ადგილას, დაგზავნა პოლიტიკურ წითელი ჯვრის საშუალებით განცხადებები სხვადასხვა დაწესებულებებში ექიმების მოწმობების თანდართვით და სხვ. მაგრამ, თხოვნის დაკმაყოფილების მაგივრათ, აი რა მიიღო: მწოლიარე, 38,9 გრადუს სიცხეში მყოფი, ის დაატუსაღეს, ძალით წამოაყენეს და ეტაპის წესით საზამთრო გზით (მარხილით) გადაიყვანეს სოფელ დემიანსკში, ტობოლსკიდან 250 ვერსტის მანძილზე, სოფელში, რომელიც მოწყვეტილია მთელს ქვეყანას, არ მოიპოება არავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი საექიმო დახმარება. ციმბირის ამ მივარდნილ ადგილას გაატარებიეს ავათმყოფს 4 თვე. პირველ სტადიაში მყოფი ჭლექი ამ პირობებში ჩქარის ნაბიჯით განვითარდა და სწრაფ ჭლექათ იქცა. ის ორიოდე გროში, რომელსაც გადასახლებულს მისი ამხანაგები აწვდიდენ, არ ყოფნიდა დეპეშებს—თხოვნას გადაეყვანათ სამხრეთში ან ჯერ-ჯერობით ისეთ პუნქტში მაინც, საცა საექიმო პერსონალი მოიპოვებოდა. ამ მიმართვებზე და თხოვნებზე არავითარი პასუხი არ მოდიოდა; იმის დადასტურებაც კი ვერ მიიღო, რომ წითელი ჯვრისთვის გაგზავნილი დეპეშები დანიშნულებას აღწევდენ. დიდათ საეჭვოა აგზავნიდენ თუ არა დანიშნულებისამებრ ყველა ამ დეპეშებს, თხოვნებს და განცხადებებს. ამასობაში აბაშიძის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა გამოირკვა, რომ აბაშიძე საბოლოოთ განწირულია, რომ მას ერთი თვის სიცოცხლეღა დარჩა, როცა ტემპერატურა 40-41 გრადუსზე ავიდა და ავათმყოფს მოძრაობის უნარი უკვე აღარ ჰქონდა,—აი მაშინ დართეს მას ნება წასულიყო პიატიგორსკში; ხოლო სოხუმზე ან ყირიმზე, საცა მას შეეძლო რამდენიმეთ გაეხანგრძლივებია თავისი სიცოცხლე, უარი უთხრეს. მომაკვდავ ადამიანს აძლევენ დოკუმენტს არა მისი სრულ განთავისუფლებისას, არამედ დროებით წამლობისას პიატიგორსკში. აბაშიძემ გამოიყენა ეს ნებართვა და ერთი ნათესავის თანხლებით დასტოვა ციმბირი. მოსკოვში, როცა სნეულს უკვე სიკვდილის დაღი ეკრა, როგორც იყო მოხერხდა მისი სრული განთავისუფლება; მომაკვდავი სახლისაკენ წაიყვანეს, მაგრამ მას არ ეღირსა ცოცხლად შინ ჩასვლა: გზაში გარდაიცვალა და მხოლოდ მისი ნეშტი მიასვენეს სამშობლო სოფელში.

ვასრულებ პოლიტიკურ გადასახლებულის უკანასკნელ სურვილს, რომ ეს სამწუხარო ამბავი სცნობოდა უცხოეთში სოციალისტურ პრესას და კერძოთ ქართულ ბეჭდვითი ორგანოს.

---

## ამხ. პართენ ებრალიძე.

რუსეთის ერთ-ერთ საეტაპო ციხეში დაიღუპა ძველი რევოლიუციონერი, ერთი მოწინავე სოფლის მუშათაგანი, შეგნებული და შეუდრეკელი მებრძოლი, დაუღალავი და თავდადებით მომუშავე ამხ. პართენ ებრალიძე.

ჯერ კიდევ 1903 წელში გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ის დაატყვევეს და ერთი წლის ქუთაისის ციხეში ჯდომის შემდეგ, თურქესტანის მხარეში გადაასახლეს ხუთი წლით. მარა 1905 წ. მოძრაობით განთავისუფლებული ის დაბრუნდა საქართველოში და მას შემდეგ შეუწყვეტლივ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მუშაობაში.

მას არა ერთხელ დასტეხია თავს ხოლმე ძველი რეჟიმის რისხვა, მას არა ერთი და ორი წელი უცხოვრია არალეგალურათ, მარა ის ვერ გასტეხა ვერავითარმა მუქარამ და ენერგიულათ განაგრძობდა მუშაობას.

ვისაც გურიაში უმუშავია, ან საქმე ქონია გურიის ორგანიზაციებთან, მას უეჭველათ ახსოვს ნათელი თვალები, მომღიმარე ტუჩები და ჭაღარა თმით შემოსილი ღია სახე ამხ. პართენისა. იშვიათი ამხანაგი, გამტანი და მოამაგე—ის ერთი იმათგანი იყო, რომლის ხსოვნა და რომლისადმი სიყვარული ასე ღრმა, ასე მტკიცე და ძლიერია, ამიტომაც იყო, რომ ის ასე უყვარდა ყველას, არა პარტიულ ამხანაგებსაც-კი. მეტად დიდი იყო მისი გავლენა საზოგადოებაში, სიტყვა მისი გადამჭრელი ყოველგვარ გაუგებრობისა, რჩევა მისი მისაღები და ანგარიშ გასაწევი, თავის უმწიკვლო ცხოვრებით ის იშვიათი მაგალითი იყო ყველასათვის და კიდეც ამიტომ მას უდიდეს პატივს სცემდენ სოფლელები.

ასეთ პიროვნებას ვერ დაინდობდა, რასაკვირველია კომუნისტური რეჟიმი, ვერც პართენი შეეგუა მას და აი პირველი დღიდანვე ის მის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა. ამ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი გურიაში, მთელი მოძრაობა მისი უახლოესი მონაწილეობით სწარმოებდა. მთელი თვეობით ციხეში იჯდა მისი ვაჟიშვილი, რომ ამით მისი სიმტკიცე გაეტეხათ, მარა ვერას გახდენ, ის კიდევ უფრო მეტის თავგანწირვით განაგრძობდა დაშლილი ორგანიზაციების აღდგენას და მის ხელმძღვანელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ის დაიჭირეს, დიდხანს აწამეს ჩეკაში და დაავათმყოფებული, შიშველ-ტიტველი, წინდაწინ გაუფრთხილებლათ ერთ-ერთ ეტაპს გააყოლეს ცივ ქვეყნებში და-სასახლებათ. დასუსტებულმა სხეულმა ვერ აიტანა ეტაპის მძიმე მგზავრობა და აი, ერთ-ერთ საეტაპო ციხეში, სამუდამოთ გამოეთხოვა ის ამ მუხთალ წუთისოფელს...

მწარეთ დავსტირით შენს ცივ სამარეს ძვირფასო მეგობარო პართენ!

გრ. ურატაძე.

## ვანო შავიშვილის ხსოვნას

გასულ გაზაფხულზე შვეიცარიაში გარდაიცვალა ერთი წლის ავათმყოფობით დატანჯული ქართველი ემიგრანტი, ამხ. ვანო შავიშვილი. ძველ პარტიულ მუშაკებს კარგად ახსოვთ იშვიათი ორგანიზატორი, გაბედული, დაუღალავი ვანო, მისი ბათუმში და განსაკუთრებით ბაქოში მუშაობის დროიდან, ცხრაას ხუთის რევოლიუციის ხანაში. სოფ. ბახვის (გურია) ღარიბი გლეხის ოჯახის შვილი ვანო სასოფლო სკოლის დასრულებისას, გასული საუკუნის მიწურულში, იძულებული იყო ქალაქში გასულიყო სამუშაოთ, ჯერ ბათუმში და შემდეგ ბაქოში. ის სრულიად ჭაბუკი ჩაება სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში და განსაკუთრებული სიმარჯვის და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით სულ მალე გახდა მეტად სასარგებლო პარტიული მუშაკი. ყველას, ვისაც 1905-ის რევოლიუციის ხანაში უმუშავია ბაქოში, ახსოვს ვანოს როლი, განსაკუთრებით რევოლიუციის დამარცხების ხანაში, როცა ს.-დ. ორგანიზაციაზე გამანადგურებელი იერიში მიჰქონდა გაბოროტებულ რეაქციას. ვანო იყო ნამდვილი მეგზური ორგანიზაციისა, მისი კონსპირაციის გამძღოლი, საჭირო თანხების მშოვნელი, მუდმივი კავშირი, ყველას მომვლელი და გამამხნევებელი. ბოლოს თვით იძულებული გახდა რეაქციის კლანჭებისაგან გადასარჩენათ ბაქო დაეტოვებია და საზღვარგარეთ შეაფარა თავი. 1907 წლიდან ვანო ჟენევაში ცხოვრობდა, უფრო ხშირად მშიერ-მწყურვალე, მაგრამ აქაც მუდამ მხნე, ხშირად მასზე ნაკლებად გაჭირვებულ ამხანაგების დამხმარე და გამამხნევებელი. მიუხედავათ მუდმივ გაჭირვებისა და შიმშილისა ვანომ მოახერხა არა მარტო ფრანგულის, არამედ მასაჟისტის ხელობის საფუძვლიანათ შესწავლა, ასე რომ ომის დროიდან თავის რჩენა შეეძლო და ბოლო დროს, დაუღალავი შრომის წყალობით, ისე კარგად წაიყვანა საქმე, რომ თავიც გაჰქონდა და სხვებსაც ეხმარებოდა. ვანო შერჩა ემიგრაციას, დამოუკიდებელ სამშობლოში დაბრუნება ვერ მოასწრო, მაგრამ ჩვენს საქმესთან არამც თუ კავშირი არ გაუწყვეტია, არამედ მისი ენერგიული მოსარჩლე იყო ევროპის მრავალგვარ წრეებში სიტყვით, კალმით, საქმით.

ფიზიკურათ ვანო იშვიათად მაგარი და გამძლე იყო და როცა მისი ჭლექით დასნეულება შევიტყვეთ, არც კი გვჯეროდა, რომ უმოწყალო სენი მას დასძლევდა. მაგრამ ჩრდილოეთის ჰავამ და განვლილ გაჭირვების და შიმშილის კვალმა მოსტეხა 45 წლის ვაჟკაცი.

ვანოს დაღუპვა დანაკლისია არა მარტო მისი ახლობლებისა და პირად მეგობრებისათვის, არამედ მთელი ჩვენი ხალხისათვის, რომლის ერთგული მოსარჩლე და მოსამსახურე იყო ის უცხოეთში.

მეზობელი.

### «ბ რ ძ ო ლ ი ს» ფ ო ნ დ ი ს ა თ ვ ი ს.

რედაქციამ მიიღო «ბრძოლის» ფონდისათვის:

ოდენკურის ქართულ კოოპერატივისაგან . . . 500 ფრანკი.
მოქალაქე გოძიაშვილისაგან (პოლონეთი) . . . 10 დოლარი.

Rédaction et Administration:
M-r. D. Charachidsé.
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

Le Gérant: G.-A. Bernard.
Arpajon — Imprimerie La Gazette de Seine-et-Oise